პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 255 (9723) | ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიაღწიეთ ახალ-ახალ წარმატებას მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! იბრძოლეთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი საქმე

საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, აგრონომიული პროპაგანდის ფართოდ გაჩაღება სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის, კოლმეურნეთა და მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მოითხოვა ბოლო მოეღოს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის შეუფასებლობას, ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გულგრილ, პასიურ დამოკიდებულებას. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და ამ გამოცდილების წარმოებაში დანერგვა პარტიული ორგანიზაციების უმთავრეს საქმედ უნდა გადაიქცეს. ისინი მოწოდებული არიან განუწყვეტლივ, დაუღალავად აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების პროპაგანდა, ყველა საშუალებით იბრძოლონ კოლმეურნეობებში მოწინავე გამოცდილების დასანერგავად.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონში, ყოველ კოლმეურნეობაში, მტს-ში და საბჭოთა მეურნეობაში არის სოფლის მეურნეობის ნოვატორი, მემინდვრეობისა თუ მებოსტნეობის, მებაღეობისა თუ მეცხოველეობის მოწინავე. მათი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, მოწინავე გამოცდილებით ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის შეიარაღება სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა. უნარიანად იყენებს ამ ღონისძიებას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში პარტიის თბილისის გარეუბნის რაიკომი. იგი სათავეში ჩაუდგა რაიონის კოლმეურნეთა მისწრაფებას — მთელი თავიანთი მუშაობა წარმართონ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითის მიხედვით. რამენსკოეს და გარეუბნის რაიონების მოძმე კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი ლენინურ-სტალინური მეგობრობის მკაფიო გამოხატულებაა, ხელს უწყობს მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელ ზრდას.

ენერგიულად აჩაღებენ რა ბრძოლას პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესასრულებლად, გარეუბნის რაიონის პარტიული ორგანიზაციები გულდასმით შეუდგნენ მოწინავეთა გამოცდილების შესწავლას და თვითონვე გამოდიან კოლმეურნეობებში მისი დანერგვის ორგანიზატორებად. ამ მუშაობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს აგრონომიული პროპაგანდის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა — სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც ამას წინათ გაიხსნა გარეუბნის რაიონში.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ცუდად ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელი რიგი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები განზე უდგანან აგრონომიული პროპაგანდის დიდმნიშვნელოვან საქმეს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ დაიგვიწყა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, არ ზრუნავს მისი განზოგადება-გავრცელებისათვის. პარტიულ კრებაზე ერთხელაც არ განუხილავთ ჩამორჩენილი ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის საკითხი, არ დახმარებიან მათ მოწინავეთა დონემდე ამაღლებაში. მემინდვრეობის მეორე ბრიგადამ წელს ხახვის მოსავლიანობის გეგმა 147 პროცენტით შეასრულა. ამავე დროს კი მეოთხე ბრიგადამ, რომელსაც მეორე ბრიგადის გვერდით ერთნაირ მოსავლიან ნაკვეთში ეთესა ხახვი, მოსავლიანობის გეგმის შესრულებას 48 პროცენტი დააკლო. ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ დიდ სარგებლობას მისცემდა ჩამორჩენილ ბრიგადას მეორე ბრიგადის გამოცდილების შესწავლა.

სამწუხაროდ, აგრონომიული პროპაგანდა მარტო გორის რაიონის კოლმეურნეობებში როდია ცუდად დაყენებული. ასევე არადამაკმაყოფილებლად ეწევიან მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციას და წარმოებაში დანერგვას ქუთაისის, სამტრედიის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების პარტიული ორგანიზაციები. მაგალითად, ქუთაისის რაიონში ბევრია მებოსტნეობის მოწინავე ბრიგადა და რგოლი, ხოლო თეთრი წყაროს რაიონში განთქმული არიან ასურეთის კოლმეურნეობის მეცხოველეები. მაგრამ აღნიშნული რაიონების პარტიული ორგანიზაციები თითქოს ვერ ამჩნევენ მათ, რის გამო მებოსტნეობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების მრავალი ძვირფასი და პრაქტიკით შემოწმებული ხერხი წლობით არ ინერგება კოლმეურნეობებში.

ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს მუშაობაშიც. პლენუმმა ამოცანად დასახა შემდგომ ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე. ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, რომ გულდასმით, ყურადღებით შევისწავლოთ, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ მოწინავე გამოცდილება, მეცნიერების მიღწევები.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდაში ბოლომდე აღმოვფხვრათ ფორმალიზმი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მოწინავე გამოცდილების გავრცელების საჭიროების შესახებ მხოლოდ ლექციებისა და მოხსენებების მოწყობით. სექტემბრის პლენუმმა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა მოწინავე გამოცდილებაზე არა მარტო მოხსენებანი აკეთონ, არამედ, რაც მთავარია, თვითონ შეისწავლონ ეს გამოცდილება და იყვნენ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მისი დანერგვის აქტიური ორგანიზატორები.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციისათვის ფართოდ გამოიყენონ პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა ფორმა და საშუალება: ლექციამოხსენება, კინო, რადიოგადაცემა, რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. მათ უნდა ურჩიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, გამგეობის წევრებს, ბრიგადირებს, მერგოლურებს და ცალკეულ კოლმეურნეებს დეტალურად გაეცნონ მოწინავე კოლმეურნეობებს, ყურადღებით შეისწავლონ მათი მუშაობის ყველა ხერხი და მეთოდი.

საბჭოთა პრესა მოწინავე გამოცდილების ტრიბუნაა. მაგრამ პარტიის რაიკომები სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის საქმეში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იყენებენ ადგილობრივ პრესას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენი გაზეთები, განსაკუთრებით რაიონული გაზეთები, სუსტად, უსისტემოდ და საქმის უცოდინრად აშუქებენ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის საოქტომბრო მოწოდებებში კიდევ და კიდევ მოაგონებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ძირითად ამოცანას — სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, სასურსათო პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფისათვის — შეუნელებელ ბრძოლას. აგრონომიული პროპაგანდის გაჩაღება, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა დაგვეხმარება ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში.

ამოცანა ის არის, რომ აგრონომიული პროპაგანდა, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების სოფლის მეურნეობაში დანერგვა გადაქცეოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს განუყოფელ ნაწილად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაიხსნება ხვალ, 29 ოქტომბერს, დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8).

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოცემა პოლონეთში

ვარშავა. (საკადესი). როგორც პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის საagენტო იუწყება, პოლონურ ენაზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე ტომი.

მოსკოვის საწარმოები — სოფლის მეურნეობას

★ ★

დამზადებულია კვალსათბურის 1.500 ჩარჩო

მოსკოვის ახლოს, ნარო-ფომინსკის განაპირას აღმართულია დიდი აგურის შენობა, რომელიც ქარხნის საამქროს მოგვაგონებს. ეს არის ტრაქტორების შემკეთებელი სახელოსნო, რომელსაც აშენებს სამეფო მტს-ში სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის კოლექტივი. გვერდით არის საქვაბე, ხოლო ცოტა მოშორებით ორი ორსართულიანი აგურის საცხოვრებელი სახლი. მათი მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ყველა სამუშაო დაამთავრონ ახალი წლისათვის.

მოსკოვის ოლქის კომუნისტური რაიონის ორ კოლმეურნეობაში გაჩაღდა კვალსათბურებისა და სათბურების მშენებლობა. წლის დამლევამდე ქარხნის ხის დამამუშავებელი საამქროს სადურგლო განყოფილებამ უნდა დაამზადოს კვალსათბურის 1.600 ჩარჩო. მუშებმა ვალდებულება იკისრეს დაკვეთა შეასრულონ ვადამდე, დიდი ოქტომბრის 36-ე წლისთავისათვის. უკვე დამზადდა და გაიგზავნა კოლმეურნეობებში 1.500 ჩარჩო.

ავტოქარხნის საამქროებში ბევრ სხვადასხვა დეტალს ამზადებენ ტრაქტორების, კარტოფილსათხრელების, საზვინავებისა და თვითმავალი კომბაინებისათვის. ყველა დაკვეთა ვადაზე ადრე სრულდება.

ვალდებულება შესრულებულია

კიროვის სახელობის ქარხანა „დინამო“ კვალსათბურებსა და სათბურებს აშენებს მოსკოვის ოლქის ნარო-ფომინსკის რაიონის ორ სამეფო კოლმეურნეობაში.

ჩაებნენ რა სტალინის სახელობის ავტოქარხნის კოლექტივთან შეჯიბრებაში, დინამოელებმა ვალდებულება იკისრეს 25 ოქტომბრისათვის დაამთავრონ კვალსათბურების მშენებლობის პირველი რიგის სამუშაოები სასოფლო-სამეურნეო არტელ „ახალ გზაში“. ეს ვალდებულება შესრულებულია. ამ ვადისათვის გაკეთდა კვალსათბურის პირველი 720 ჩარჩოს დასადგმელები. კოლმეურნეობაში ამჟამად მეორე რიგის სამუშაოები წარმოებს. დამთავრდა სათბურის საძირკვლის ჩაყრა 300 კვადრატულ მეტრზე, დაიწყო ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი. მთავრდება საქვაბის საძირკვლის ჩაყრა.

სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში შესრულებულია ყველა მოსამზადებელი სამუშაო კვალსათბურის 480 ჩარჩოს დასადგმელების გასაკეთებლად. დამთავრდა აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში მზადება კიდული გზების მშენებლობისათვის, რომლებიც განკუთვნილია საკვების მიწოდებისა და ნაკელის გაზიდვის მექანიზაციისათვის. უახლოეს დღეებში დაიწყება ამ გზების მონტაჟი.

საშეფო დახმარების წესით ქარხნის ენერგეტიკოსებმა განახორციელეს კოლმეურნეობა „ახალი გზის“ მეცხოველეობის ფერმის ელექტროფიკაცია და დაიწყეს სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ფერმის ელექტროფიკაცია. (საკადესი).



თბილისი. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. საწნეხე-დამამზადებელი საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი კ. ზარდალიშვილი საამქროს მუშებს უკითხავს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებს. ფოტო ვ. ზარიძისა.

ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად

პარტიის მოწოდების პასუხად

ახალი საწარმოო წარმატებების მოპოვებით აღნიშნავს თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის მრავალრიცხოვანი კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავის მოახლოებას. მანქანა-დანადგართა სრულყოფილად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის შეუნელებელი ბრძოლის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის ზრუნვის შედეგად ფაბრიკის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა 27 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით 88 ათას მეტრზე მეტი მაღალი ხარისხის მზა ქსოვილის გამოშვება შეძლეს. ოქტომბრის პირველი და მეორე დეკადის დავალება ხამი ქსოვილის გამოშვების დარგში შეასრულეს 106,7 პროცენტით, ხოლო ნართის დამზადების გეგმა — 108,6 პროცენტით.

საერთო შრომითი აღმავლობა გამოიწვია ფაბრიკის მუშამოსამსახურეებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავისადმი. ფაბრიკის ყველა საამქროში მოეწყო აგიტსაუბრები ამ მოწოდებების შესახებ.

ფიეტრები ახალი ენერგიით შეუდგნენ მუშაობას, რათა ვადამდე გაანადგურონ საოქტომბროდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, შრომითი მიღწევებით უპასუხონ მოწოდებას — უზრუნველყოთ მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობა.

მეტი საქსოვი მანქანები საფეიქრო მრეწველობას

საბჭოთა კავშირს ყველა აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში იცნობენ თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მარკის უახლეს ნახევრადავტომატურ აბრეშუმსაქსოვ მანქანებს „ჩგსპ-50“-ს. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ამ ქარხნის კოლექტივმა იკისრა — უზრუნველყოს ამ საქსოვი მანქანების გამოშვების წლიური გეგმის შესრულება ვადამდე — 21 დეკემბრისათვის, ხოლო 7 ნოემბრამდე გეგმის გადამეტებით საფეიქრო მრეწველობას მისცეს რამდენიმე საქსოვი მანქანა.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებმა მანქანათმშენებლებში შემოქმედებითი ენერგიის ახალი აზვირთება გამოიწვია.

ეს მოწოდებანი ქარხნის საწნეხე-დამამზადებელ საამქროში გააცნო პარტორგანიზაციის მდივანმა კ. ზარდალიშვილმა. საოქტომბრო მოწოდებათა წაკითხვის შემდეგ გამართულ საუბარში ლითონგამკრიალებელმა კონსტანტინე ჩოფურაშვილმა განაცხადა: ეს მოწოდებანი ყველა ჩვენგანს ძალასა და ხალისს ჰმატებს შემდგომი თავდადებული შრომისათვის. ჩვენ აღსავსენი ვართ იმ სულისკვეთებით, რომ აბრეშუმსაქსოვი მრეწველობა უზრუნველყოთ პირველხარისხოვანი საქსოვი მანქანებით, არ გვექნეს არც ერთი რეკლამაცია ჩვენ მიერ გამოშვებულ მანქანებზე.

დაიწყო ციტრუსების შერჩევითი კრეფა

სუხუმი. (საკ. კორ.). 25 ოქტომბერს ილიჩის სახელობის გულრიფშის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ აფხაზეთში პირველმა დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა. პირველ დღესვე მოკრეფილ იქნა 15 ტონამდე მანდარინი, ხოლო შემდეგ ყოველდღიურად საშუალოდ იკრიფება 13-14 ტონაზე მეტი ნაყოფი.

მეურნეობის კოლექტივი თავდადებულად იბრძვის იმისათვის, რომ საყვარელ სამშობლოს ჩააბაროს $9^1/_2$ მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

ციტრუსების პირველი პარტია გაიგზავნა მოსკოვსა და ლენინგრადში.

იზრდება კვების სანარმოთა რიცხვი

რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კვების ახალი საწარმოების მშენებლობა და მოქმედ საწარმოთა გაფართოება. სუბტროპიკულ რაიონებში — ქობულეთის, მახარაძის, გეგეჭკორის და სხვა რაიონებში შენდება ჩაის ახალი ფაბრიკები. ამჟამად მშენებლობის პროცესშია 25 ჩაის ფაბრიკა.

მნიშვნელოვნად ფართოვდება მეღვინეობის მრეწველობა. დაბა ავჭალაში მიმდინარეობს კონიაკის უდიდესი ქარხნის მშენებლობა. ქარხანა მთლიანი ექსპლოატაციის პერიოდში ყოველწლიურად გამოუშვებს 200 ათას დეკალიტრ კონიაკს. იქვე შენდება მაღალხარისხოვანი ღვინოების ქარხანა. ფართოვდება და შენდება მევენახეობის ახალი საბჭოთა მეურნეობები წინანდალში, დიღომში, სამგორში. ღვინის დამამზადებელი საწარმოებისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე წელს დაიხარჯება ათეულ მილიონობით მანეთი.

ახალი საწარმოები ემატება პურის საცხობ და საკონდიტრო მრეწველობას. თბილისში შენდება მექანიზებული პურის ქარხანა სასწავლო კომბინატით, რომელიც კადრებს მოამზადებს რესპუბლიკის პურის ქარხნებისათვის. თბილისში დაწყებულია აგრეთვე დიდი წარმადობის საკონდიტრო ფაბრიკის მშენებლობა.

რესპუბლიკაში შენდება მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნები და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, კურორტებზე და მუშათა დაბებში თვითნებური მშენებლობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა საკითხი და აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების და მილიციის ორგანოების მხრივ არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად ქალაქ თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში უკანასკნელ დროს გაზშირდა თვითნებური და უპროექტო მშენებლობის შემთხვევები.

ქალაქ თბილისში უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში გამოვლინებულია თვითნებური მშენებლობის სამასზე მეტი შემთხვევა. 26 კომისრის სახელობის რაიონში, აეროდრომისაკენ მიმავალი გზის გაყოლებით, იმ ტერიტორიაზე, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის, აშენდა ორასამდე თიხის ქოხმახი უპროექტოდ და სანიტარული და სახანძრო წესების უხეში დარღვევით.

ანალოგიურ მდგომარეობაა ორჯონიკიძის სახელობის რაიონში, ლენინის სახელობის რაიონსა და ქალაქ თბილისის სხვა რაიონებში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არ ასრულებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 აგვისტოს დადგენილებას, რომლის თანახმად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უფლება ეძლევათ თვითნებური მშენებლობის ან სამშენებლო-ტექნიკური წესებისა და ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევებში დაავალონ მენაშენეს შეწყვიტოს მშენებლობა და ერთი თვის ვადაში თავისი ძალებით და ხარჯით დაანგრიოს მის მიერ აგებული მთელი შენობა და წესრიგზე მოიყვანოს მიწის ნაკვეთი.

ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, კურორტებზე და მუშათა დაბებში თვითნებური მშენებლობის შემთხვევების ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. აეკრძალოს ყველა მოქალაქეს ყოველგვარი მშენებლობის (აშენება, გადაკეთება, დაშენება, მიშენება და სხვ.) დაწყება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წერილობითი ნებართვის მიღებამდე.

2. ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, კურორტებზე და მუშათა დაბებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფას აწარმოებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები მშრომელთა განაცხადების საფუძველზე მხოლოდ და მხოლოდ ამ სახეობის მშენებლობისათვის განკუთვნილ ნაკვეთებზე.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა ხორციელდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ დამტკიცებული მშენებლობის დაგეგმვის პროექტების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ აუცილებელ სახეობათა კეთილმოწყობას.

3. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან ცალკე მოქალაქეთა (ინდივიდუალურ მენაშენეთა) განცხადებანი მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ განიხილონ არაუგვიანეს 20 დღის ვადისა მათი მიღებიდან.

აღმასრულებელი კომიტეტები მოვალენი არიან მენაშენეთა განცხადება გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე მშენებლობის დასაწყებად ნებართვის მიცემის შესახებ განიხილონ არა უგვიანეს 10 დღის ვადისა.

4. სათანადო წერილობითი ნებართვის უქონლად მშენებლობის თვითნებური წარმოებისათვის ინდივიდუალური მენაშენეები მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლით.

5. მენაშენეები, რომლებმაც შენება დაიწყეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სათანადო წერილობითი ნებართვის უქონლად, თვითნებურად ან სამშენებლო-ტექნიკური წესებისა და ნორმების უხეში დარღვევით, აგრეთვე უვარგისი საშენი მასალით, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების სათანადო წერილობითი მოთხოვნის მიღებისთანავე შეწყვიტონ მშენებლობა და ერთი თვის ვადაში თავისი ძალებით და ხარჯით აიღონ მათ მიერ აგებული მთელი შენობა, ან შენობის ნაწილი და წესრიგზე მოიყვანონ მიწის ნაკვეთი.

იმ შემთხვევაში, თუ თვითნებური მენაშენე არ შეასრულებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომების მოთხოვნას მშენებლობის შეწყვეტის ან თვითნებურად აგებული შენობის თუ მისი ნაწილის აღების შესახებ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომები განკარგულებას აძლევენ კომუნალური მეურნეობის განყოფილებას თვითნებურად აგებული შენობის ან შენობის ნაწილის აღების შესახებ.

მილიციის ორგანოები მოვალენი არიან კომუნალური მეურნეობის განყოფილებებს გაუწიონ საჭირო დახმარება შენობის აღების შესახებ აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულების შესრულებაში.

შენობის აღებასთან ერთად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საქმეს აღძრავენ ამ დადგენილების მეოთხე პუნქტის შესაბამისად იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელნიც დამნაშავენი არიან სათანადო ნებართვის უქონლად მშენებლობის წარმოებაში.

6. აეკრძალოს მილიციის ორგანოებს იმ პირთა გაშვება, ვინც შესახლდა სათანადო წერილობითი ნებართვის უქონლად აგებულ შენობებში, რომლებიც არ მიუღია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე საბინაო წიგნების გაცემა ამ სახლებში მცხოვრებთა გასაწერად.

7. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ის მუშაკები, რომლებიც არ მიიღებენ ღონისძიებებს ქალაქების, რაიონული ცენტრების, კურორტებისა და მუშათა დაბების გამგებლობაში არსებული მიწების თვითნებური მშენებლებისაგან დასაცავად, აგრეთვე არ მიიღებენ ღონისძიებებს თვითნებური მენაშენეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, მიცემულ იქნებიან დისციპლინარულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქონელბრუნვის შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის ამხანაგ ა. ი. მიქოიანის მოხსენება ვაჭრობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1953 წლის 17 ოქტომბერს

მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა, საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 254)

როგორც ცნობილია, საბჭოთა ვაჭრობის თვით არსიდან გამომდინარეობს, რომ საჭიროა მოსახლეობის მოთხოვნისა და მისი ყველა სხვადასხვაგვარი მოთხოვნილების ყოველმხრივ შესწავლა. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება უზრუნველყოთ ჩვენი ქვეყნის რაიონების მიხედვით საქონლის რესურსების უფრო სწორი განაწილება.

ვაჭრობის დიდი ნაკლი, რომელიც შეიძლება საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების მთელი საქმის სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცეს, ის არის რომ დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვაჭრობის მუშაკები მოსახლეობის მოთხოვნას ჯერ კიდევ ცუდად სწავლობენ, ეს კი სერიოზულ შეცდომებს იწვევს ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით საქონლის შეზიდვის დაგეგმვაში.

ისეთ დიდ სამრეწველო ცენტრში, როგორიც არის ქალაქი გორკი, მყიდველთა მოთხოვნის შესწავლა მარტო ერთ მაღაზიაში ხდება. ქალაქ ყაზანში მოთხოვნის შესასწავლად მუშაობა მოგვარებულია მხოლოდ უნიფორმაღში და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის საქალაქო სამმართველოს ორ მაღაზიაში. ბევრ სავაჭრო ორგანიზაციაში მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა იმით ამოიწურება, რომ ავსებენ ბარათებსა და უწყისებს, რომლებსაც თითქმის აღარ სწავლობენ და ოპერატიულ მუშაობაში ნაკლებად იყენებენ. მთავარ უნივერმაღში ადგილებიდან მიღებული მოთხოვნის შესწავლის ინფორმაციებს ანალიზს არ უკეთებენ, არ განაზოგადებენ და, იშვიათ გამონაკლისს გარდა, პრაქტიკულად არ იყენებენ.

ჩვენი ქვეყნის რაიონებში საქონლის შეზიდვა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მისი მიწოდება დღემდე ხდება ეგრეთწოდებული მიმწოდებლებთან „შეთანხმებული“ ასორტიმენტის მიხედვით. იმის შედეგად, რომ ცუდად იცნობენ ბაზარს და ჩვენი ქვეყნის რაიონებში ასორტიმენტის მიხედვით საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის თავისებურებებს, ასორტიმენტის შეთანხმების დროს მთელ რიგ შეცდომებს უშვებენ. ცხოვრებას თავისი არსებითი შესწორებანი შეაქვს, შეთანხმებული ასორტიმენტი კი ურყევი რჩება. შეთანხმებული ასორტიმენტი პრაქტიკაში ხშირად იძულებით ასორტიმენტად გადაიქცევა ხოლმე ვაჭრობისათვის.

მიწოდების მოქმედი ძირითადი პირობების მახედვით სავაჭრო ორგანიზაციები მოვალენი არიან წაიღონ საქონელი შეთანხმებული ასორტიმენტის შესაბამისად. უფრო მეტიც, თუ სავაჭრო ორგანიზაციას არ მიაქვს ცენტრში „შეთანხმებული“ ასორტიმენტიდან რომელიმე საქონელი, მას მაგიერ სხვა ისეთ საქონელს არ აძლევენ, რომელზეც მოთხოვნაა მოცემული რაიონის მოსახლეობაში. შესაძლოა, ასეთი წესი მოხერხებულიც იყოს გამსაღებელი ბაზების ზარმაცი მუშაკებისათვის, მაგრამ ვაჭრობას ეს მხოლოდ ვნებს,

„გლავტექსტილტორგის“ სავაჭრო-გამსაღებელი ბაზების მმართველთა თათბირზე მოიყვანეს ბევრი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ საქონლის არასწორად შეზიდვას, სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის იძულებით ჩაბარებას და იმას, რომ მოთხოვნის შესასწავლად მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ამის შედეგად საჭირო გახდა სერიოზული კორექტივების შეტანა ცალკეულ რაიონებში საქონლის შეზიდვის გეგმებში.

1953 წლის მანძილზე რამდენჯერმე იქნა შეტანილი შესწორებანი გამოსაშვები საქონლის ასორტიმენტში, მაგრამ ყველა ეს შესწორება ვაჭრობის სამინისტროს შეჰქონდა დაგვიანებით, როცა საწყობებსა და ბაზებში დაგროვდა ისეთი საქონლის მეტისმეტად დიდი მარაგი, რომელსაც მოსახლეობა ნაკლებად მოითხოვს.

მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის არსებული წესი გულისხმობს მეტისმეტ ცენტრალიზაციას — იმას, რომ ვაჭრობის სამინისტროში თავი მოუყარონ დიდძალ მასალას, თუ გნებავთ ისეთსაც კი, რომელიც ცენტრში საჭირო არ არის, ადგილობრივ ორგანიზაციებს მეტი უფლება უნდა მიეცეთ ცალკეული სახეობის ისეთი საქონლის მიწოდების შეთანხმების მხრივ, რომელსაც მოსახლეობა მოითხოვს.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა უნდა შესწავლონ როგორც საბითუმო, ისე საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებმა. ყოველი ღონისძიებით უნდა წავახალისოთ მყიდველთა კონფერენციების მოწყობის გამოცდილება, მოქალაქეების წინადადებათა გამოყენება, საქონლის გამოფენების, საასორტიმენტო კაბინეტების მოწყობა, პრესაში გამოსვლა და სხვ.

მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლისა და უფრო სრულად დაკმაყოფილების საქმეში განსაკუთრებით დიდია საქონელმცოდნეთა როლი და მნიშვნელობა. ისე სწორად, როგორც გამოცდილი საქონლისმცოდნე, ვერავინ ვერ შეაფასებს შეესაბამება თუ არა მრეწველობისაგან მიღებული საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი მყიდველთა გემოვნებასა და მოთხოვნილებას.

ამავე დროს ჩვენში საქონელმცოდნეთა მნიშვნელობა დამცირებულია. ვფიქრობ, რომ როგორც ქარხანაში დირექტორის შემდეგ მეორე პირია მთავარი ინჟინერი, ისე სავაჭრო ორგანიზაციებში საქონელმცოდნე უნდა იყოს მეორე პირი საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის დარგში. დროა გავაძლიეროთ საქონელმცოდნის როლი ვაჭრობაში. მაშინ გაცილებით უფრო წარმატებით გადაწყდება ხარისხისა და ასორტიმენტის საკითხები.

ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველთვის შეუნელებელ ყურადღებას აქცევდნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. სავაჭრო ორგანიზაციებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ მაღალი ხარისხის საქონელი მიაწოდონ მომხმარებელს. ვაჭრობის მუშაკები თავიანთ მუშაობაში ყოველდღე ხედავენ ათეულ მილიონობით საბჭოთა მყიდველს, და გაყიდული საქონლის შესახებ პირველ აზრს გამყიდველი გაიგებს ხოლმე.

ვაჭრობის მუშაკები უშუალოდ აგებენ პასუხს მყიდველის წინაშე გაყიდული საქონლისათვის. ვაჭრობის მუშაკები მოვალენი არიან გამოხატონ მყიდველის ინტერესები და დაიცვან ეს ინტერესები მრეწველობის წინაშე საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის მხრივ, არ დაუშვან, რომ სავაჭრო ქსელში ცუდი საქონელი შეიტანონ.

ვაჭრობის განკარგულებაში იმის ყველა შესაძლებლობაა, რომ ეკონომიური ბერკეტები გამოიყენოს საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტისათვის ბრძოლაში. ვაჭრობის მუშაკები მოვალენი არიან მრეწველობის წინაშე დააყენონ ახალ სახეობათა საქონლის წარმოების მოწყობის საკითხები, გახდნენ ახალი საქონლის კარგი გამავრცელებელნი, ყოველდღიურად დაუკვეთონ მრეწველობას ისეთი მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოება, რომელსაც მოსახლეობა მოითხოვს.

ხარისხის გასაუმჯობესებლად მთავრობამ დაავალა მსუბუქ მრეწველობას გაადიდოს მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილების, „ბოსტონის“, „მეტროს“, „ლუქსის“, „დამკვრელის“, კოვერკოტის, დრაფ-ველიურის, „დედაქალაქურის“ და სხვა ქსოვილების წარმოება; გააუმჯობესოს აბრეშუმის ქსოვილების გამოყვანა, გაადიდოს მათი სიმკვიდრე, გაადიდოს მოჩითული ქსოვილების გამოშვება და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილების კლების შემცირებას, აგრეთვე გააუმჯობესოს ქსოვილების მხატვრული გაფორმება.

დასახულია შტაპელის ბოჭკოს ქსოვილების წარმოების დიდი ზრდა, რომლებიც პოპულარული გახდა მომხმარებლებში, რასაც ვერ ვიტყვით იმ ქსოვილებზე, რომლებსაც აწარმოებენ მოსკოვის პირველი საჩითავი ფაბრიკა და ტრიოხგორნაია მანუფაქტურა. ეს სახელმოხვეჭილი საწარმოებია, მაგრამ მათი შტაპელის ქსოვილები არ ვარგა, მყიდველი უჩივის ამ ქსოვილების ცუდ ხარისხს.

თუ ქალაქ მოსკოვის სვერდლოვის სახელობის ფაბრიკა ჩინებულ შტაპელის ტილოს უშვებს, რომელიც მყიდველს აკმაყოფილებს და ეს ქსოვილები საზღვარგარეთულ ქსოვილებს ურჩევნია, ტრიოხგორნაია მანუფაქტურამ და პირველმა საჩითავმა ფაბრიკამ შტაპელის ქსოვილების წარმოება ისე დაიწყეს, რომ სათანადოდ არ მომზადებულან და თავი შეირცხვინეს ამ საქმეში.

აღარ შეიძლება იმის მოთმენა, რომ მსუბუქი მრეწველობა უშვებს ერთფეროვან, მქრქალ, მუქი გაფერადებისა და ცუდი ნახატების საქონელს. მრეწველობამ უნდა გამოუშვას ღია, ლამაზი და მიმზიდველი გაფერადების მკვიდრად შეღებილი ქსოვილები.

მსუბუქი მრეწველობა მოვალეა სეზონის მიხედვით შეიმუშაოს და აითვისოს ტანსაცმლის მოდელები და ფასონები, რომლებიც აკმაყოფილებენ მომხმარებლის მოთხოვნასა და გემოვნებას. ხარისხის განუყოფელი ელემენტია პროდუქციის გარეგანი გაფორმება, მისი გამოყვანა, კოხტად და კარგად შეფუთვა, ლამაზი ეტიკეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ მრეწველობის მთელმა რიგმა საწარმოებმა საქონლის კარგ გაფორმებასა და გამოყვანას მიაღწიეს, მაგრამ ამას სრულიადაც ვერ ვიტყვით როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური, კოოპერაციული და ადგილობრივი მრეწველობის, განსაკუთრებით რაიონული მრეწველობის ბევრ საწარმოზე. ამოცანა ის არის, რომ ამ საქმეში ჩამორჩენილი საწარმოები მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ. მთელი ჩვენი მრეწველობა უნდა უშვებდეს მაღალი ხარისხის, კარგ, ლამაზ საქონელს, რომელიც გარეგანი გამოყვანითა და შეფუთვით არ უნდა ჩამორჩებოდეს საუკეთესო საზღვარგარეთულ ნიმუშებს.

მომხმარებელს საფუძვლიანი პრეტენზიები აქვს მრეწველობისადმი, განსაკუთრებით კვების მრეწველობისადმი იმ მხრივ, რომ მუდმივი, მყარი ხარისხი შეუნარჩუნოს სწორედ იმ პროდუქტებს, რომლებსაც მოსახლეობა ყველაზე მეტად მოითხოვს. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, რომ ახალი გამოშვებული ამა თუ იმ სორტის საქონელი პირველ ხანს მაღალი ხარისხისაა, ხოლო შემდეგ წარმოების მუშაკები ანელებენ ყურადღებას მისდამი, და ხარისხი უარესდება. არ შეიძლება აგრეთვე დავუშვათ, რომ მრეწველობამ წარმოებიდან მოხსნას სახელმოხვეჭილი საქონელი.

ვაჭრობის მუშაკებში დღემდე არ აღმოფხვრილა შემარიგებლობა იმის ფაქტებისადმი, რომ სავაჭრო ქსელში შეაქვთ ცუდი ხარისხის საქონელი, შემჩნეულია რაღაც დამთმობელობა მრეწველობის მიმართ, როცა ეს უკანასკნელი სავაჭრო ორგანიზაციებს აწვდის ისეთ საქონელს, რომელსაც მოსახლეობა არ მოითხოვს, აწვდის მოძველებული ფასონებისა და მოდელების და გარეგნულად ცუდად გამოყვანილ საქონელს.

რა თქმა უნდა, მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები ასე ამბობენ: ქიმიკოსები საღებავს არ გვაძლევენ და რა უნდა ვქნათო. მრეწველობისა და ვაჭრობის გულკეთილ მუშაკებს გული უჩუყდებათ. მათ ქვის გული უნდა ჰქონდეთ — არაფერს არ უნდა თმობდნენ. მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა ქიმიკოსებს მტკიცედ უნდა მოსთხოვონ, არ უნდა შეიცოდონ ქიმიკოსები, უნდა მოსთხოვონ მათ ყველა საღებავი, რომელიც ესაჭიროებათ. ყოველგვარი დათმობა ამ საქმეში ოპორტუნიზმია, ოპორტუნიზმი კი საქმეს ღუპავს.

ბოლშევიკები არასოდეს არ ურიგდებოდნენ ვიწრო ადგილებს, ეს შერიგება ეწინააღმდეგება ხალხის კეთილდღეობისათვის აქტიური ბრძოლა თვით არსს. ვიწრო ადგილებთან შერიგების ნაცვლად ვაჭრობის მუშაკთა მთელი არმია უნდა ხელმძღვანელობდეს ამ ვიწრო ადგილების დაძლევის, დამსხვრევისა და გარღვევის პრინციპით. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ვაჭრობის მუშაკები არ უნდა ურიგდებოდნენ იმ მოსაზრებებს, რომლებიც მოჰყავთ მიმწოდებლებს, თუ ეს მოსაზრებანი ეწინააღმდეგებიან მომხმარებლის ინტერესებს.

აჩაღებენ რა ბრძოლას საქონლის საჭირო ასორტიმენტისათვის, მისი მაღალი ხარისხისა და საქონლის კარგი გარეგნული გამოყვანისათვის, ვაჭრობის მუშაკები არა მარტო იცავენ მომხმარებლის ინტერესებს, არამედ ამით იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს და ეხმარებიან მრეწველობის მუშაკებს ავიდნენ მუშაობის ხარისხის ახალ უფრო მაღალ დონეზე.

საქონლის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში საბჭოთა ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკებს აქვთ ერთიანი ინტერესები, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომლებიც ასახავენ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. ვაჭრობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის საბითუმო ორგანიზაციები გამოიყენ მრეწველობას და გადაეცა ვაჭრობის სამინისტროს.

საბითუმო ორგანიზაციების გადაცემა ერთი უწყებიდან მეორე უწყებაში უბრალო გადაცემას კი არ მოასწავებს, არამედ ძირეული ცვლილებაა ვაჭრობის ორგანიზაციაში, და საბჭოთა ვაჭრობის განვითარების ისტორიაში პირველად ხორციელდება. მრეწველობიდან ვაჭრობის სამინისტროსათვის საბითუმო ვაჭრობის გადაცემის მიზანი ის არის, რომ მყიდველის ინტერესები პირველ პლანზე დავაყენოთ, ხოლო ის მოსაზრება, რომ მრეწველობას ასე ეხერხებაო, მეორე პლანზე გადავიტანოთ.

ეს არის იმ გადაწყვეტილების ღრმა აზრი, რომელიც მთავრობამ მიიღო საბითუმო ვაჭრობისა და ხარისხის ინსპექციის საკითხებზე. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ორგანიზაციების როლი საქონლის მაღალი ხარისხისა და საჭირო ასორტიმენტისათვის ბრძოლის საქმეში მკვეთრად უნდა გაძლიერდეს. ისინი მოვალენი არიან გულისხმიერად მოეკიდონ საცალო ვაჭრობის ორგანიზაციათა მოთხოვნებს და ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ მათ ვაჭრობის გაუმჯობესებაში, გადაწყვიტონ საქონლის პირდაპირი გზით გატარების ამოცანა და სამრეწველო საწარმოებიდან უშუალოდ სავაჭრო საწარმოებში საქონლის ტრანზიტით გზავნის გაფართოების ამოცანა.

დაგეგმვის ერთ-ერთი მანკი ის არის, რომ სათანადოდ არ არის შეთანხმებული ერთი მხრივ ადგილობრივი სავაჭრო სამმართველოს, მაღაზიის საქონელბრუნვის გეგმა და მეორე მხრივ საქონლის რესურსებით ამ გეგმის უზრუნველყოფა. ამის შედეგად ზოგიერთი ორგანიზაცია იმაზე მეტ საქონელს იღებს, რაც საჭიროა საქონელბრუნვის გეგმის შესასრულებლად, ზოგიერთი კი ნაკლებს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ მაღაზიებისა და სავაჭრო სამმართველოთა მუშაკების ხელფასი იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულდება გეგმა, ამ მანკის მნიშვნელობა კიდევ უფრო ძლიერდება.

საბჭოთა ოჯახის ყოფაცხოვრებისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების ზოგიერთი საკითხი

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საოჯახო მეურნეობის რეკონსტრუქციის, როგორც კომუნიზმისათვის ბრძოლის ერთ-ერთი პირობის, საკითხებს, იგი წერდა, რომ ქალს „აწვება, ახრჩობს, აჩლუნგებს, ამდაბლებს **წვრილი საოჯახო** მეურნეობა, რომელიც ამამს მას სამზარეულოსა და საბავშო ოთახზე, ანიავებს მის შრომას ყოვლად უნაყოფო, წვრილმანი, ნერვებამშლელი, დამაჩლუნგებელი და დამაბერავებელი მუშობით. **ქალის** ნამდვილი **განთავისუფლება**, ნამდვილი კომუნიზმი დაიწყება მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც დაიწყება მასობრივი ბრძოლა (რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო ძალაუფლების მქონე პროლეტარიატი) ამ წვრილი საოჯახო მეურნეობის წინააღმდეგ, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი **მასობრივი გარდაქმნა** მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 502).

წვრილი საოჯახო მეურნეობის მასობრივი გარდაქმნა შეიძლება წარმოებდეს რამდენიმე მიმართულებით, ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საოჯახო შრომის მექანიზაციას, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მანქანიზაციას. ახლა ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს უაღრესად სერიოზული ყურადღება მივაქციოთ მოხმარების თანამედროვე იარაღების, სრულყოფილი მანქანების წარმოებასა და დანერგვას, რომლებიც მომსახურებას უწევენ და აუმჯობესებენ ჩვენს ყოფაცხოვრებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცეს საოჯახო მეურნეობისათვის მანქანების წარმოების ფართო პროგრამა. სარეცხი მანქანების წარმოება 1955 წელს 1953 წელთან შედარებით თითქმის 11-ჯერ დიდდება და შეადგენს 196 ათას ცალს, საყოფაცხოვრებო მაცივარი დამზადდება 330 ათასი ცალი მიმდინარე წლის 62 ათასი ცალის ნაცვლად, მტვერსასრუტების წარმოება დიდდება ერთიანად და წელიწადში გამოვუშვებთ თითქმის ნახევარ მილიონ ცალს; ელექტროიატაკსაწმენდების გამოშვება დიდდება ერთიანად. სერიოზულად გადიდდება სამზარეულოს ისეთი საგნების წარმოება, როგორიც არის კარტოფილსაფცქვნელი, ბოსტნეულის დასამუშავებელი მოწყობილობა, პურის საჭრელი, ჭურჭლის სარეცხი, ელექტროქვაბი და ელექტროჩაიდანი.

ზოგიერთი სკეპტიკოსი, განსაკუთრებით ის, ვინც მტრულად განწყობილია, იტყვის, ამით უნდათ ქვეყანა გაკვირვონო. რასაკვირველია, სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების ან მაცივრების რაოდენობით ჩვენ ჯერჯერობით არავის გაკვირვებას არ ვაპირებთ. ჩვენ მხოლოდ მოვაგვარეთ ეს საქმე. ხოლო იმ ტემპით, რომლითაც დანაკლისს ავინაზღაურებთ, შეიძლება ითქვას, გავაკვირვებთ ყველა სკეპტიკოსს.

ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში, ეს მანქანები ახლო მომავალში საბჭოთა ოჯახების უმრავლესობის განუყრელი კუთვნილება იქნება.

1956 წელს გამოშვებულ იქნება სამ მილიონამდე საკერავი მანქანა, თითქმის 17-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. 1954 წლიდან მოკიდებული ჩვენი მრეწველობა გამოუშვებს პორტატიულ და მოხერხებულ ელექტროსაკერავ მანქანებს. ეს ახალი სახის საკერავი მანქანა გაცილებით უფრო ადვილი მოსახმარი იქნება ჩვენი ქალებისათვის.

მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებასა და წვრილი საოჯახო მეურნეობის რეკონსტრუქციაში დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოებრივი კვების ყოველი ღონისძიებით განვითარება. მოსახლეობის ერთ ნაწილში დამკვიდრებულია არასწორი აზრი, რომ სასადილო მხოლოდ იძულებული აუცილებლობაა. ამ აზრს დიდად უწყობს ხელს საზოგადოებრივი კვების ზოგიერთი მუშაკის დაუდევარი დამოკიდებულება თავისი მოვალეობებისადმი. ასეთმა მუშაკებმა დაივიწყეს, რომ საჭირო აკეთონ გემრიელი საჭმელი, სწრაფად და კულტურულად მოემსახურონ მომხმარებელს.

როგორც ყოველ საქმეში, საზოგადოებრივ კვებაშიც ყველაფერს წყვეტენ კადრები. ჩვენში მზარეული ერთ-ერთი ყველაზე პასუხისმგებელი მუშაკია საზოგადოებრივ კვებაში, ხოლო მზარეულის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და პატივსაცემია, რადგან მზარეულის მუშაობაზე ყოველდღიურად, უშუალოდ და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მრავალი მილიონი ადამიანის ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა.

ბოლო დრომდე მოქმედებდა სისტემა სასადილოების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა მანეთობით გამომუშავების ნორმების მიხედვით. ეს სისტემა ხელს უწყობდა ძვირი კერძების გამოშვებას ბოსტნეულის, ფქვილისა და ბურღულის შრომატევადი კერძების მომზადების საზიანოდ და აუარესებდა საჭმლის კეთების ხარისხს.

ახლა ეს ნაკლი აღმოფხვრილია. 1953 წლის ოქტომბრიდან სამზარეულოს მუშაკები საშუალო და დიდ სასადილოებში გადაყვანილი არიან შრომის ანაზღაურებაზე კერძებით გამომუშავების ნორმების მიხედვით.

ახლა შევეხებით საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ძირითად ტიპებსა და თვითეული მათგანის დანიშნულებას. საწარმოსთან არსებულ სასადილოს, რომელსაც მომხმარებელთა მუდმივი კონტინგენტი ჰყავს, სავსებით შეუძლია გაითვალისწინოს მომხმარებლის მოთხოვნილება და გემოვნება. ქარხნებში, ფაბრიკებსა და შახტებში უკვე არის ბევრი სანიმუშო სასადილო. შეგვიძლია დავასახელოთ, მაგალითად, ტრესტ „ორჯონიკიძეუგოლის“ სასადილოები, ტრესტ „ლენინნუგეშის“ სასადილოები, მეტალურგთა სასადილო ქალაქ კრივოი როგში და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი სასადილო ცუდად მუშაობს და მოსახლეობის სამართლიან საყვედურს იწვევს. საწარმოთა დირექტორები და საზოგადოებრივი კვების მუშაკები ვალდებულნი არიან მიიღონ ღონისძიებანი საწარმოთა სასადილოების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

ზოგიერთ მუშაკს მიაჩნია, რომ დღეს საზოგადოებრივი კვებისათვის მინუსია სასაუზმეების საკმაოდ სწრაფი ზრდა. ასეთი აზრი შემცდარია. სასაუზმეები გვეხმარება გადავჭრათ ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანა — უზრუნველვყოთ იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანმა სწრაფად, კარგად და გემრიელად ისაუზმოს სასადილო შესვენების დროს. ჩვენ უნდა მოვაწყოთ კარგად დაყენებული კულტურული სასაუზმეების ქსელი.

საჭიროა აგრეთვე მივიღოთ ღონისძიებანი სტუდენტთა სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის, მოვაწყოთ სადილების კეთება სტუდენტთა ბიუჯეტის გათვალისწინებით.

საჭიროა ისე დავაყენოთ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, რომ მომხმარებელი ბევრ დროს არ ხარჯავდეს სადილის მიღების მოლოდინში, არამედ გამოიყენოს დრო საჭმლის მშვიდად, სწორად მიღებისათვის. აკადემიკოსი პავლოვი დაბეჯითებით გვირჩევდა ვჭამოთ აუჩქარებლად, ნელა, რადგან „სწრაფი უყურადღებო ჭამის გამო, საჭმელით მიღებული სიამოვნება, აგზნება ვერ აღწევს საკმაო ძალას და ამიტომ საჭირო რაოდენობით არ გამოიყოფა წვენი საჭმლის მონელების დაწყებისათვის“ (თხზ. ტ. 2, წიგნი 1. გვ. 262. რუს. გამოც.).

სერიოზულ შემსუბუქებას აძლევს საბჭოთა ოჯახს სკოლაში ბავშვთა კვების სწორი ორგანიზაცია. მეტწილ სკოლებში ჩვენ გვაქვს კარგად მოწყობილი ბუფეტები. მაგრამ ბუფეტებში მოსწავლეთა მომსახურება ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული; არ გვყოფნის სასკოლო სასადილოები. სასკოლო ბუფეტები და სასადილოები სპეციალურად უნდა იყოს მოწყობილი ბავშვების საკვებად ბავშვის მოზარდი ორგანიზმის განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

საჭიროა, რომ საზოგადოებრივი კვების საწარმოებში იმზადებდნენ მრავალფეროვანი ასორტიმენტის კერძებს, რომ ეს კერძები კარგად იყოს გაფორმებული, იზიდავდეს და მადას აღუძრავდეს ადამიანს. საჭიროა ფართოდ მივაწყოთ მზა სადილებისა და კულინარიის საგნების გაცემა შინ წასაღებად, რაც აგრეთვე შეუმსუბუქებს მდგომარეობას დიასახლისს.

საჭიროა გავაუმჯობესოთ რესტორანების მუშაობა, მომსახურების კულტურა და მნიშვნელოვნად ავამაღლოთ სხვადასხვა კერძის მომზადების ხარისხი. ისე უნდა დავაყენოთ საქმე, რომ რესტორანებში მიდიოდნენ მთელი ოჯახით და შეეძლოთ იქ სტუმრების მიღება, საოჯახო ლხინის გამართვა, რათა დღესასწაული იყოს არა მარტო ქმრისათვის, არამედ ცოლისთვისაც, თორემ შინ სტუმრების მიღება ყველა შინაურისათვის დღესასწაულია, გარდა თვით დიასახლისისა, რომელსაც სტუმრების მიღება ოჯახში მუდამ ბევრ საზრუნავს უჩენს და დიდად ქანცავს. ბოლოს, უნდა მოწესრიგდეს რესტორანების მუშაობა ვაგზლებში, ნავსადგურებში, აეროპორტებში. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს ვაგონ-რესტორანების მუშაობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მშრომელთა მომსახურებას მასობრივი სეირნობისა და დემონსტრაციების დროს. ამისათვის საჭიროა მოძრავი საწარმოები. ასეთი საწარმოების დახმარებით შეიძლება სწრაფად მოეწყოს მოსახლეობის მომსახურება ქალაქის ყოველ ნაწილში და ქალაქგარეთ.

საზოგადოებრივი კვების ქსელი, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგს შეადგენდა 106 ათას ერთეულს, ესე იგი 24,3 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით, ჩვენ უკვე ვიღარ გვაკმაყოფილებს. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ზრდა ჩამორჩება ქალაქების ეკონომიურ განვითარებას. მოსკოვშიც კი საკმაოდ ბევრია მაგალითი, რომ ახლად აგებული დიდი საცხოვრებელი მასივები ცუდად არის უზრუნველყოფილი სასადილოებით, სასაუზმეებით, ქალაქ მოსკოვის ნოვოპესჩანის ქუჩისა და „ტექსტილშჩიკის“ რაიონში დასახლებული ადგილები იქ მცხოვრები მოსახლეობის მხრივ მთელ ქალაქებს უდგანან, მაგრამ არც სასადილო, არც სასაუზმე აქ არ არის. ეს ნაკლი რაც შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს. განზრახულია 1954-1956 წლებში ახლად გაიხსნას 11 ათასი რესტორანი, სასადილო, სასაუზმე და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოები.

ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც საოჯახო შრომას უმსუბუქებს ჩვენს ქალებს, არის მრეწველობის მიერ მზა კატლეტების, ხორცისა და თევზის ნახევარფაბრიკატების და ყოველგვარი კულინარიის გამოშვების და მაღაზიებში გაყიდვის გადიდება. გათვალისწინებულია 1955 წელს 1953 წელთან შედარებით წვრილი ძეხვისა და სარდელის გამოშვება გადიდდეს ერთიანრად და მეტად, ხორცის ნახევარფაბრიკატებისა — ერთთისამად, ხინკლისა — ერთიანრად, ხორცის კატლეტებისა — 1,8-ჯერ. მკვეთრად დიდდება თევზის ნახევარფაბრიკატებისა და სუკის, აგრეთვე ხორცისა და თევზის კულინარიის გაყიდვა.

ატელიეებისა და ტანსაცმლის შესაკერი სახელოსნოების ფართოდ განვითარება და კარგი ხარისხის ფაბრიკის ტანსაცმლის გაყიდვის სწრაფად გადიდებაც რამდენადმე შეუმსუბუქებს შრომას ჩვენს საბჭოთა ქალებს, რომლებიც იძულებული არიან ხშირად შინ შეკერონ ტანსაცმელი. საჭიროა სწრაფად გავაფართოოთ ისეთი საწარმოების ქსელი, როგორიც არის სამრეცხაოები, ქიმიური წმენდის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოები, რომელთა დანიშნულებაა საგრძნობლად შეუმსუბუქონ ქალებს საოჯახო შრომა.

ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა

რაც უფრო მეტი იქნება ჩვენს ქვეყანაში საქონელი, მით უფრო დიდ მოთხოვნებს წაუყენებს საბჭოთა მომხმარებელი არა მარტო საქონლის ხარისხს, არამედ აგრეთვე სავაჭრო მომსახურების ხარისხსაც. სავაჭრო ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მკვეთრად ამაღლონ საბჭოთა ვაჭრობის კულტურის დონე.

ვაჭრობის კულტურა ნიშნავს არა მარტო მაღაზიის გარეგნულად ლამაზ გაფორმებას, სისუფთავესა და წესრიგს სავაჭრო დარბაზსა და დამხმარე შენობებში, არამედ საქონლის თვალსაჩინო და ლამაზად განლაგებას, ნაკეთობათა მთელი მდიდარი და მრავალფეროვანი ასორტიმენტის კარგად ჩვენებას და საქონლის სწრაფად გაცემას, მომხმარებლისათვის დამატებითი სამსახურის გაწევას — ტანსაცმლის მორგებას, ქსოვილების გამოჭრას, საქონლის შინ მიტანას და სხვა.

მაღაზიის ზუსტი, კულტურული მუშაობა დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა მაღაზიის დირექტორზე. სავაჭრო საწარმოს დირექტორი უნდა იყოს კარგი ორგანიზატორი, ვაჭრობის მუშაკთა კულტურული აღმზრდელი, ვაჭრობის საქმის მცოდნე, გულისხმიერად უნდა უგდებდეს ყურს მყიდველთა მოთხოვნებს საქონლის ხარისხის მხრივ და ცდილობდეს, რომ მრეწველობამ შეასრულოს ეს მოთხოვნები.

ჩვენ გვაქვს კარგი უნივერმაღები, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები, სადაც ნამდვილად ზრუნავენ მყიდველის კარგი მომსახურებისათვის, ვაჭრობის კულტურული ორგანიზაციისათვის. მაგრამ ვაჭრობის კულტურის საერთო დონე არ შეესაბამება ახალ მოთხოვნებს. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ, ვიბრძვით რა საქონელბრუნვის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, გავაძლიეროთ სოციალისტური შეჯიბრება მოსახლეობის სანიმუშოდ მომსახურებისათვის, უფრო ფართოდ გამოვავლინოთ და დავნერგოთ ნოვატორობა ვაჭრობის ყველა რგოლში, რათა ყველა სავაჭრო საწარმო ავიყვანოთ

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის მოხსენების გაგრძელება

ახვევენ დაუდევრად. იმისათვის, რომ იყიდოს ხიზილალა, ხაჭო, არაყანი, თაფლი, მურაბა, ხილფაფა მყიდველი მაღაზიაში უნდა მივიდეს საკუთარი ჭურჭლით, მაშინ როცა უნდა ვეცადოთ, რომ მრეწველობისაგან მივიღოთ მზა ჭურჭელი აღნიშნული საქონლის გასაყიდად.

თუ უკანასკნელ წლებში, მიუხედავად ყველა არსებული სერიოზული ნაკლოვანებისა, გაიზარდა მთელი რიგი სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის კულტურა, ბოსტნეულისა და კარტოფილის ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. ვაჭრობის ბევრი მუშაკი შეურიგდა იმას, რომ კარტოფილსა და ბოსტნეულს ხშირად ყიდიან ჭუჭყიანს, მიწიანს, რომ მწვანილი იყიდება დამჭკნარი, რომ მყიდველი ამ პროდუქტებისათვის აუცილებლად უნდა მოვიდეს კალათით ან ტომრით. ამის მოთმენა აღარ შეიძლება. დროა მყიდველს თანდათანობით მივცეთ იმის შესაძლებლობა, რომ შეიძინოს ქაღალდის პარკებში ან ბადეებში დაფასოვებული კარტოფილი, ქილებში ან კასრებში ჩადებული კომბოსტოს წნილი.

სავაჭრო ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი არ ზრუნავს იმისათვის, რომ დანერგოს და გამოიყენოს უმარტივესი მექანიზმები, რომლებიც ადიდებენ მყიდველთა შრომის ნაყოფიერებას, ბევრად უმსუბუქებენ მათ შრომას, უზრუნველყოფენ საქონლის უფრო სწრაფ და სწორ გაცემას. ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით გამოვიყენოთ უმარტივესი მექანიზმები, უფრო ფართოდ დავნერგოთ ახალი ტექნიკა, რომელიც ხელს უწყობს ვაჭრობის კულტურის ამაღლებას.

ვაჭრობის კულტურა მოითხოვს კარგად მოწყობილ რეკლამას. ჩვენი საბჭოთა რეკლამის ამოცანა ის არის, რომ მისცეს ხალხს ზუსტი ცოდნა საქონლის შესახებ და ამით დაეხმაროს ახალი მოთხოვნის შექმნას, დანერგოს ახალი გემოვნება და მოთხოვნილება, პროპაგანდა გაუწიოს ახალ საქონელს, განმარტოს მისი მოხმარების წესები. ჩვენი საბჭოთა რეკლამა თავისუფალია ზედმეტობისაგან, კონკურენცია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეკლამის ხარჯები 1951 წელს 6,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ამ ხარჯების მასშტაბს ახასიათებს ის, რომ ეს ხარჯები 2-3-ჯერ აღემატება ამერიკის მთავრობის ხარჯებს განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის. კაპიტალისტურ ქვეყნებში სარეკლამო საქმე ემსახურება არა მომხმარებლის ინტერესებს, არამედ წარმოადგენს ფირმებს შორის მყიდველისათვის კონკურენტული ბრძოლის საშუალებას და ხშირად მიმართულია მყიდველის მოსატყუებლად.

საბჭოთა რეკლამაში პირველი ადგილი უნდა ეკუთვნოდეს მართალ, ზუსტ, მოხდენილ, მკაფიო სიტყვას, რომელიც გაგვაცნობს საქონლის შინაარსს, მის თვისებებსა და თავისებურებებს. ბევრს ახსოვს ჩვენი დიდი პოეტის მაიაკოვსკის მოხდენილი, საგულისხმო სიტყვები, რომლებიც დაწერილი იყო რეკლამისათვის:

„Нет места
сомненью
и думе —
все для женщины
только в ГУМЕ“.
„Лучших сосок
не было и нет, —
готов сосать
до старости лет“.
„Для салатов, соусов и прочих ед
лучшего масла
не было и нет“.

ჩვენი რეკლამა ბევრ შემთხვევაში უფერული, სტანდარტული და მოუქნელია. მაგალითად, ახლა შეიძლება შევხვდეთ ასეთ რეკლამას: „დალიეთ „მთავარლუდის“ ქარხნების ლუდი“. ჩვენში ჯეროვნად უნდა განვავითაროთ რეკლამა, გავხადოთ იგი მყიდველის სასარგებლო თანაშემწე. სარეკლამო საქმის გაუმჯობესებისათვის საჭიროა მოვაწყოთ რეკლამისა და ვიტრინების ინვენტარისა და მასალების თანამედროვე წარმოება, ნაცვლად შინამრეწველური წარმოებისა.

სამწუხაროდ, არის საჩივრები, რომ გამყიდველები მომხმარებლებს ეპყრობიან უყურადღებოდ, არაგულისხმიერად, ხოლო ხშირად უხეშადაც. ეს შეუწყნარებელია. საბჭოთა მაღაზიის მუშაკი პატივს უნდა სცემდეს მყიდველს. ზრდილობის მხრივ ბევრი ნაბიჯი გვაქვს გადასადგმელი წინ. ზრდილობა ნაკლებად არის მაღაზიებშიც, ტრამვაიშიც, ნაკლებად არის ქუჩაშიც. საერთო ამოცანაა ავამაღლოთ ზრდილობიანი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი, ქალისადმი, ბავშვისადმი.

მაღაზიებში უნდა მოვითხოვოთ ზრდილობიანი მოპყრობა, ეს კი ჩვენ ძალიან გვაკლია. რად ღირს ისეთი ფაქტი, როცა სტალინგრადის უნივერმაღში ქსოვილების განყოფილების ერთმა გამყიდველმა ქალმა მყიდველის შეკითხვაზე — სად შეიძლება ნარმის ყიდვაო, უპასუხა: „მე ცნობათა ბიურო როდი ვარ, მოქალაქევ“.

როცა ჩვენი საბჭოთა ადამიანი მაღაზიაში მიდის, იგი კარგ გუნებაზე უნდა დაიყენოს კარგი საქონლის ყიდვამ, ნაყიდი საქონლის ხარისხმა და გაფორმებამ, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ნაყიდი შინ სიამოვნებას მოგვრის ოჯახის წევრებს — მოზრდილებსაც და ბავშვებსაც. ასეთი განწყობილება ცოტათი როდია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მომსახურებას გაუწევენ მას, რა ფორმით შესთავაზებენ საქონელს, რამდენ დროს დახარჯავს საქონლის ყიდვაზე. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნები ვაჭრობის მუშაკისადმი — იყოს თავაზიანი და ზრდილობიანი მყიდველთან.

თავის მხრივ ვაჭრობის მუშაკები ითხოვენ, რომ მყიდველებიც ზრდილობიანი იყვნენ მათთან და პატივს სცემდნენ დახლის მუშაკთა შრომას. ამასთან მოჰყავთ გამყიდველისადმი ზოგიერთი მყიდველის უსაფუძვლო პრეტენზიების, ხოლო ზოგჯერ აგდებული დამოკიდებულების ფაქტები.

საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებისადმი აგდებული დამოკიდებულება ძველი დროის ნაშთია. დროა საბოლოოდ უკუვაგდოთ ასეთი დამოკიდებულება. ჩვენი საბჭოთა ვაჭრობის მუშაკები თავისუფალი არიან მოგებისა და ჩარჩობის სულისკვეთებისაგან. ისინი შეადგენენ სოციალიზმის მშრომელთა ერთ-ერთ რაზმს და მოწოდებული არიან შეასრულონ ხალხის ყოველდღიური მომსახურების საპატიო ამოცანა. ვაჭრობა ჩვენში დიდი ხანია გახდა, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, ჩვენი საკუთარი ბოლშევიკური საქმე, ხოლო ვაჭრობის მუშაკები, თუ კი ისინი პატიოსნად მოქმედებენ, ჩვენი რევოლუციური ბოლშევიკური საქმის გამტარებლები არიან.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში მუშაობს სამ მილიონზე მეტი კაცი. ეს მშრომელთა დიდი არმიაა. ჩვენი მუშაობის წარმატება დამოკიდებული იქნება კადრების შერჩევის, მომზადებისა და აღზრდის გაუმჯობესებაზე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს გამგებლობაში გადაეცეს 5 უმაღლესი სასწავლებელი და ამ სასწავლებლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მიღება, აგრეთვე ცენტროსოიუზის გამგებლობაში გადაეცეს ერთი ინსტიტუტი. ეს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სწავლას დააახლოებს ვაჭრობის პრაქტიკის საჭიროებასა და მოთხოვნილებებთან და ვაჭრობის სამინისტროს განამტკიცებს უმაღლესი სავაჭრო სასწავლებლების მეცნიერ მუშაკთა დახმარებით, ხოლო მეცნიერების დაუხმარებლად ახლა ვაჭრობაშიც ვერ წავალთ წინ.

ჩვენ აგრეთვე მნიშვნელოვნად უნდა გავაფართოოთ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადება, დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ვაჭრობის მუშაკთაგან, ხელმძღვანელი შემადგენლობის ორწლიან კურსებზე და უმაღლეს სავაჭრო სკოლაში, რომლებშიც მიღება გადიდდება 1.200 კაცამდე ყოველწლიურად; მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ მიღება ვაჭრობის დაუსწრებელ საკავშირო ინსტიტუტში და ტექნიკუმების დაუსწრებელ განყოფილებებზე.

მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს გამყიდველების, მზარეულებისა და მასობრივი პროფესიების სხვა მუშაკთა მომზადება კურსების ქსელში, სავაჭრო-საკულინარიო სკოლებში და ინდივიდუალური და ბრიგადული მოსწავლეობის გზით, რაც შვიდწლედდამთავრებული ახალგაზრდებიდან კადრების მომზადების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა. ჩვენ მოვალენი ვართ 1954-1955 წლებში ყოველწლიურად მოვამზადოთ სავაჭრო და კულინარიული მოსწავლეობის სკოლებსა და სპეციალურ სავაჭრო სკოლებში 25 ათასამდე კაცი, ინდივიდუალური და ბრიგადული მოსწავლეობის გზით ამდენივე და, გარდა ამისა, კურსებზე ვაჭრობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით 128 ათასამდე კაცი.

ბევრი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯერ კიდევ უდარდელობას იჩენს კადრების მომზადების საქმეში, არ სწავლობს მათ პრაქტიკულ სამუშაოზე.

ვაჭრობის მუშაკებს მინდობილი აქვთ დიდი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, რომლებსაც ისინი თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდნენ. სავაჭრო ქსელში კი ჯერ კიდევ არის გაფლანგვისა და დატაცების ფაქტები. თუმცა რეკვიზიები ხშირად, თითქმის ყოველ თვე ეწყობოდა, მაგრამ ბევრი ეს რევიზია ზერელე იყო. ახლა გადაწყდა რევიზიები მოეწყოს არც თუ ისე ხშირად, მაგრამ უფრო გულდასმით, უფრო კვალიფიციური მუშაკების მონაწილეობით. სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფის საქმეში ვაჭრობის მუშაკთა ამოცანა ის არის, რომ შექმნან ისეთი ვითარება, როცა შეუძლებელი იქნება გაფლანგვა და დატაცება, უზრუნველყონ დროული და ხარისხიანი დოკუმენტალური რევიზიები და ინვენტარიზაცია მაღაზიებში, საწყობებსა და ბაზებში.

ჩვენ საბჭოთა ვაჭრობის დიდი აყვავების მიჯნაზე ვართ, და გაზეთი ერთ-ერთი საშუალებაა, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი პარტიის გეზის განხორციელება ვაჭრობაში. ამიტომ შემთხვევითი არ არის და დიდმნიშვნელოვანია ახლანდელ მომენტში სავაჭრო გაზეთის შექმნა, რომელიც გამოსვლას დაიწყებს 1953 წლის ნოემბრიდან. ჩვენ ახლა აუცილებლად გვესაჭიროება საკავშირო ბეჭდვითი ტრიბუნა მოწინავე გამოცდილების გასავრცელებლად, იმისათვის, რომ უნარიანად და სწრაფად გამოვეხმაუროთ და შევაქოთ რაც კი ახალი, მოწინავე, პერსპექტიულია ვაჭრობაში, და გავამათრახოთ დრომოჭმული, დახავსებული. გაზეთში მუდამ უნდა ისმოდეს მომხმარებლის ხმა და მისი მოთხოვნები ვაჭრობისა და მრეწველობისადმი, სავაჭრო გაზეთის წაკითხვისას მომხმარებელმა მასში უნდა ნახოს ის, რაც აინტერესებს მასაც და არა მარტო საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებს.

სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა მაღაზიების, სასადილოების, რესტორანების, კაფეების, სასაუზმეების მუშაობა იმ საათებში, რომლებიც

განვამგკიცოთ ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ომისშემდგომ წლებში ახლად გაიხსნა 136 ათასი მაღაზია და 85 ათასი ფარდული, გადიდდა სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი, რომლებიც ახლა 43 ათასს აღწევს. ქალაქებისა და მუშათა დაბების საერთო სავაჭრო ქსელში სპეციალიზებული მაღაზიების ხვედრითი წონა 45 პროცენტს შეადგენს. ომისშემდგომ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ფეხსაცმლის სპეციალიზებული მაღაზიები, რომელთა რიცხვი 1953 წელს 1940 წელთან შედარებით 9,5-ჯერ გაიზარდა, ქსოვილებისა — 4,4-ჯერ, ტანსაცმლისა — 1,7-ჯერ. სპეციალიზებულ მაღაზიებში იქმნება საუკეთესო პირობები მყიდველებისათვის, უფრო სრულად სწავლობენ მოთხოვნას.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში საცალო საქონელბრუნვის ზრდა გაცილებით უფრო სწრაფად წარმოებდა, ვიდრე სავაჭრო საწარმოთა ქსელის განვითარება. 1953 წელს საცალო საქონელბრუნვა 1940 წლის საქონელბრუნვასთან შედარებით გაიზარდა შესადარ ფასებში 79 პროცენტით, მაშინ როცა საცალო სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა მიმდინარე წლის დამდეგისათვის სულ 8,4 პროცენტით გადიდდა, ხოლო ამ საწარმოებში სამუშაო ადგილების რაოდენობა — 7,8 პროცენტით. ამან უთუოდ მოახდინა გავლენა მომხმარებელთა მომსახურების ხარისხზე და მთელ რიგ ქალაქებში გამოიწვია მაღაზიების გადატვირთვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს ქვანახშირის, ნავთობის სამინისტროები, აგრეთვე მეტალურგიული მრეწველობა აწარმოებენ კარგად მოწყობილი მაღაზიებისა და სასადილოების დიდ მშენებლობას შახტებში, სარეწებზე და ქარხნებთან. მაგრამ მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ სავაჭრო ქსელის განვითარების 1953 წლის დავალებას.

უკრაინის სსრ ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებში (მინისტრი ამხ. სახნოვსკი) წლის პირველ ნახევარში მაღაზიების რაოდენობა გადიდდა მხოლოდ 60 ერთეულით ნაცვლად წლიური დავალების 285 ერთეულისა; ბელორუსიის სს რესპუბლიკაში (მინისტრი ამხ. კოტოვიდოვი) წლის პირველ ნახევარში ქსელი გადიდდა მხოლოდ 21 მაღაზიით ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 77 მაღაზიისა.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შეუწყნარებელ ფაქტებს, როცა მოქმედ მაღაზიებს ხურავენ სულ სხვადასხვა მიზეზით. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სხვადასხვა მიზეზით დახურულია 1.940 მაღაზია.

ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების წაყრუებით დღემდე გრძელდება სავაჭრო შენობების ჩამორთმევა და მათი გამოყენება არადანიშნულებისამებრ, მოსკოვში, სადაც სავაჭრო ქსელი დიდი გადატვირთვით მუშაობს, ასზე მეტი სავაჭრო შენობა ახალი საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებში დაკავებულია არადანიშნულებისამებრ. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო მოსკოვის საბჭოსთან ერთად იღებს ღონისძიებებს ამ შენობების გასათავისუფლებლად და ვაჭრობისათვის პირდაპირი დანიშნულებით გამოსაყენებლად. ასეთივე ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც.

მაღაზიების განლაგება მთელ რიგ ადგილებში სტიქიურად მოხდა, და ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოები არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ ამ საქმეში ორგანიზებულობის საფუძველი შეიტანონ.

სავაჭრო ქსელის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება აღმოიფხვრას ქალაქებში მოქმედი სავაჭრო ქსელის გამსხვილების ღონისძიებებით იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია მყიდველთა უკეთ მომსახურების ინტერესებისათვისაც.

ქალაქ მოსკოვის სავაჭრო ორგანიზაციებმა 1952-1953 წლებში მოაწყეს 88 გამსხვილებული სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზია 182 პატარა მაღაზიის გაერთიანებით და 19 შენობის გამოყენებით, რომლებიც არასავაჭრო მიზნებისათვის იყო დაკავებული. გარდა მოსკოვისა, მაღაზიების გამსხვილება ხდება მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც — ლენინგრადში, რიგაში, კიევში, ოდესაში. ეს დიდი და სასარგებლო საქმის მხოლოდ დასაწყისია. ბევრი მაღაზიის ტექნიკური მდგომარეობა ცუდია, და მათი შენობები კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვენ. მფლობელები, როგორც წესი, უარს ამბობენ შენობების კაპიტალურ შეკეთებაზე, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციებს უფლება არ ჰქონდათ სახსრები დაეხარჯათ მათ მიერ იჯარით აღებული შენობების კაპიტალურ შეკეთებაზე. ახლა ყველა სავაჭრო ორგანიზაციას უფლება აქვს მინიჭებული საიჯარო გადასახადის 50 პროცენტამდე დახარჯოს იჯარით აღებული სავაჭრო შენობებს კაპიტალურ შეკეთებაზე.

საცალო სავაჭრო ქსელის განვითარებაში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის განზრახულია 1954-1956 წლებში ქალაქებსა და სოფელ ადგილებში აშენდეს და გაიხსნას 40 ათასი მაღაზია ნაცვლად 19 ათასი მაღაზიისა, რომლებიც წინა სამ წელს აშენდა. უახლოეს სამ წელიწადში განზრახულია განხორციელდეს 100 დიდი და საშუალო უნივერმაღის მშენებლობა საოლქო ცენტრებსა და სამრეწველო ქალაქებში.

მკვეთრად დიდდება კაპიტალდაბანდებანი ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში. 1954 წელს ვაჭრობის სამინისტროს ამ მიზნით გამოეყო 1.700 მილიონი მანეთი, ნაცვლად 750 მილიონი მანეთისა 1953 წელს, ანუ თითქმის 2,3-ჯერ მეტი.

უახლოეს ხანში გაიხსნება საბჭოთა კავშირში უდიდესი უნივერსალური მაღაზია — სახელმწიფო უნივერმაღი წითელ მოედანზე მოსკოვში, რომელიც აღჭურვილი იქნება მოწინავე თანამედროვე სავაჭრო ტექნიკით.

რევოლუციამდე წითელ მოედანზე ზემო სავაჭრო რიგების შენობებში, რომლებიც ახლა განთავისუფლებულია იქ მოფი დაწესებულებებისაგან და წარმოებს მათი გადაკეთება სახელმწიფო უნივერმაღისათვის, იყო, დაახლოებით, მრავალი ფირმის 240 პატარა სავაჭრო საწარმო. უნივერსალურ მაღაზიაში — სახელმწიფო უნივერმაღში საბჭოთა მომხმარებელი იმოვნის თავისთვის უაღრესად ფართო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის საქონელს.

უნივერმაღში მოეწყობა დიდი სახელოსნოები მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის ინდივიდუალური დაკვეთით შეკერვისათვის. სახელმწიფო უნივერმაღის პირველ სართულში იხსნება „გლავგასტრონომის“ ყველაზე დიდი სასურსათო მაღაზია. სახელმწიფო უნივერმაღში ერთსა და იმავე დროს იმუშავებს ათასზე მეტი გამყიდველი, ხოლო დახლის საერთო სიგრძე შეადგენს ორნახევარ კილომეტრს.

უეჭველია, ახალი სახელმწიფო უნივერმაღი არ ემსგავსება ძველ სახელმწიფო უნივერმაღს. ყოველ შემთხვევაში ის, რაც ერთ დროს მაიაკოვსკიმ თქვა სახელმწიფო უნივერმაღზე, უფრო შეეფერება ახალ სახელმწიფო უნივერმაღს, იგი კი რეკლამაში წერდა: **„Все, что требует желудок, тело или ум, — все человеку предоставляет ГУМ“.** ჩვენ გვსურს ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ვაჭრობა მაგალითს იღებდეს სახელმწიფო უნივერმაღისაგან. მოსკოვში ყოფილ ლუბიანკის პასაჟის შენობაში, რომელიც ახლა სხვადასხვა დაწესებულებას უკავია, განზრახულია მოეწყოს უნივერმაღი „ბავშვთა სამყარო“ 300 სამუშაო ადგილით. ეს იქნება საბავშვო სახელმწიფო უნივერმაღი პატარა საბჭოთა მომხმარებლებისათვის. საჭიროა მოეწყოს კიდევ რამდენიმე დიდი მაღაზია.

1949 წელს სამაცივრო მოწყობილობით აღჭურვილი იყო სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების სასურსათო მაღაზიებისა და სასადილოების მხოლოდ ხუთი პროცენტი. 1953 წლის 1 ივლისისათვის სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების მაღაზიებსა და სასადილოებში არსებულ კომპრესორთა რაოდენობა 1949 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის 7-ჯერ, ხოლო 1940 წელთან შედარებით — 12,5-ჯერ.

მარტო სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მიმდინარე წლის დამდეგს მალფუჭებადი საქონლის მოვაჭრე ყველა მაღაზიის 54 პროცენტი და საზოგადოებრივი კვების საწარმოების 50 პროცენტი აღჭურვილი იყო მანქანური სამაცივრო დანადგარებით. უახლოეს სამ წელიწადში დასახულია სამაცივრო კომპრესორებისა და სამაცივრო მოწყობილობის წარმოება გადიდდეს სულ ცოტა ერთისამად, ამასთან შემდგომ გაუმჯობესდეს მათი კონსტრუქცია.

ვაჭრობის სწორი ორგანიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კარგად მოწყობილ სასაწყობო მეურნეობას.

ამჟამად სავაჭრო-სასაწყობო მეურნეობა სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. მარტო სამაცივრო საწყობების დარგში ჩვენ მეტად დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ და მათი ფართობი 1940 წელთან შედარებით გაორკეცებულია. ტექნიკური დონის თვალსაზრისით ჩვენი სამაცივრო მეურნეობა არ ჩამოუვარდება რომელიც გნებავთ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის მაცივრებს. მაგრამ ბოთუმად მოვაჭრე ორგანიზაციების სასურსათო საქონლის საწყობების ტევადობა 1953 წელს კიდევ ვერ აღწევს ომამდელ დონეს და შეადგენს 300 ათას ტონას, ნაცვლად 1940 წლის 528 ათასი ტონისა.

ომისშემდგომ პერიოდში მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ომით გამოწვეული ნგრევა და აშენებული არ არის ბოსტნეულისა და კარტოფილის ისეთი საცავების რაიმე სერიოზული რაოდენობა, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს შეეფერებოდეს. უფრო მეტიც, დროებითი ტიპის საცავები დაძველდა. ყოველივე ამან ის გამოიწვია, რომ ბოსტნეულსაცავებისა და კარტოფილსაცავების ტევადობა მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 2.396 ათას ტონას, ანუ 30 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე 1940 წელს.

სასაწყობო მეურნეობა სამრეწველო საქონლისათვის, როგორც წესი, პატარაა, დაშალულია, მოუწყობელ სადგომებშია მოთავსებული, რაც არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოეწყოს საქონლის საცალო ვაჭრობისათვის საჭირო დახარისხება.

რა თქმა უნდა, საწყობების ნაკლებობის დროსაც კარგი ორგანიზატორები საქმეს მოაგვარებენ ხოლმე. ამიტომ უნდა გაუმჯობესდეს საბითუმო ვაჭრობა და არ დაველოდოთ იმას, სანამ ბევრი კარგი საწყობის აშენებას მოვასწრებდეთ. საჭიროა ახლავე მიღებულ იქნას პრაქტიკული ღონისძიებანი საცალო ვაჭრობის მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ახალი საწყობების მშენებლობაში აღებულია პრინციპულად არასწორი გეზი. ახლა თვითეული საბითუმო ორგანიზაცია თავისთვის აშენებს ცალკე დამოუკიდებელ პატარა საწყობებს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში, ინარჩუნებს საბითუმო საწყობების ტერიტორიულ დაქაქსულობას, რაც ხელს უშლის საცალო ვაჭრობის მომარაგების საქმეს.

სავსებით ცხადია, რომ მშენებლობის გასაიაფებლად და განსაკუთრებით საწყობების ექსპლოატაციის გასაიაფებლად და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვის უზრუნველსაყოფად საჭიროა შენდებოდეს საბითუმო საწყობები, რომლებიც გაერთიანებული იქნება ერთ ფართობზე, ერთ შენობაში ან შენობების ჯგუფში, პატარა ქალაქებისათვის ერთ ადგილას, ხოლო დიდი ქალაქებისათვის ქალაქის რამდენიმე ძირითად რაიონში.

ამჟამად მთავრობის მიერ დამტკიცებულია მაცივრების, სასურსათო და სამრეწველო საქონლის შესანახავი საბითუმო საწყობების, ბოსტნეულისა და კარტოფილის საცავების, აგრეთვე ადგილობრივი სავაჭრო კანტორების წვრილსაბითუმო საწყობების მშენებლობის ფართო პროგრამა.

ნაცვლად დაქაქსული სასაწყობო მეურნეობებისა მათი სამმართველო აპარატით და დიდი მიმოქცევის ხარჯებით, ჩვენ უნდა მოვაწყოთ დიდი, კოოპერირებული საწყობები დატვირთვის, გადმოტვირთვისა და შინასასაწყობო ოპერაციების სრული მექანიზაციით, საერთო ექსპედიციით.

სასაწყობო მეურნეობის ორგანიზაციის რაციონალური ფორმაა საერთო სარგებლობის საწყობები. დასახულია 1954 წელს დიდი საბითუმო საწყობების მშენებლობის დაწყება მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, როსტოვში, კუიბიშევში, სტალინოსა და სხვა ქალაქებში.

სასაწყობო მეურნეობა საჭიროა პრა მარტო მშენებლობა-მაცივრების სფეროში, მედ დიდი სასაწყობო ფართობი საჭიროა აგრეთვე საქონლის სეზონური მარაგის შესანახავად, რათა ამ საქონლით მოსახლეობის მომარაგება საჭირო ასორტიმენტით უზრუნველყოფილ იქნას მთელი წლის განმავლობაში. ვთქვათ, თექის ჩექმების ფაბრიკა მთელ წელიწადს მუშაობს, მაგრამ მოსახლეობა ამ ჩექმებს ყიდულობს შემოდგომაზე ან ზამთრის დამდეგს. მაშასადამე, საჭიროა საწყობები ზაფხულში ამ საქონლის შესანახავად. ესევე უნდა ითქვას კალოშების, საზაფხულო ქსოვილებისა და ყველა სეზონური საქონლის შესახებ, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მზადდება, მოხმარება კი სეზონურია.

ჩვენში კი ხშირად ისეა, რომ სეზონის დადგომისას მაღაზიებში თექის ჩექმები საკმაო რაოდენობით არ არის, ხოლო გაზაფხულზე და ზაფხულში, როცა ეს ჩექმები საჭირო არ არის, ისინი აქვთ მაღაზიებში. ასევეა სხვა სეზონური საქონელიც: გაზაფხულზე საკმაო რაოდენობით არ არის საზაფხულო ქსოვილები და ფეხსაცმელი, ხოლო ზამთარში მაღაზიები პირდაპირ გამოტენილია ასეთი საქონლით. ასევე მწვავედ დგას საკითხი კვების პროდუქტების — ერბო-კარაქის, ხორცის, თევზის, შაქრის სეზონური მარაგის შესახებ, რომელთა წარმოებაც სეზონურია, ხოლო მოხმარება—მუდმივი.

ვაჭრობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად და მაღაზიებში საქონლის დაუზიანებლად მიტანის უზრუნველსაყოფად უახლოეს ხანში ფართოდ უნდა დავნერგოთ სპეციალიზებული ავტოტრანსპორტი.

სამწუხაროდ, დღემდე სპეციალიზებული ტრანსპორტის მეტად უმნიშვნელო რაოდენობის გამო მეტი წილი მალფუჭებადი საქონელი, მზა ტანსაცმელი, ავეჯი და სხვა საქონელი გადაიქცევა ჩვეულებრივ სატვირთო მანქანებში ჩაყრილი, რაც იწვევს საქონლის გაფუჭებას და საქონლის სახეობის დაკარგვას.

ჩვენი ამოცანაა ძირეულად გარდავქმნათ სასურსათო და სამრეწველო საქონლის გადაზიდვის საქმე და უახლოეს 2-3 წელიწადში ვაჭრობის სპეციალიზებული ავტომანქანების პარკი ავიყვანოთ სულ ცოტა 20 ათას ცალამდე. სპეციალიზებული ავტოტრანსპორტი ამავე დროს უნდა იყოს გადასაზიდავი საქონლის თვალსაჩინო რეკლამა. ეს ტრანსპორტი აგრეთვე რამდენადმე უნდა აცოცხლებდეს და ამშვენებდეს ქუჩას და ახარებდეს მომხმარებლის თვალს.

საქონლის დატვირთვა მიმწოდებელთა ბაზებში უნდა ხდებოდეს მიმწოდებელთა ძალებით და სახსრებით, ხოლო სავაჭრო საწარმოებში გადმოტვირთვა — მოვაჭრე ორგანიზაციების ძალებით. არ შეიძლება ისეთი მდგომარეობის მოთმენა, რომ ავტოტრანსპორტით საქონლის გადაზიდვისას ზედ სხედან მტვირთავები. ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა მოვუღოთ ბოლო საქონლის დატვირთვის ადგილიდან გადმოტვირთვის ადგილამდე ავტომობილებით მტვირთავების სეირნობის ამ მფლანგველურ პრაქტიკას.

კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი განვითარების შესახებ

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად ძირეულად შეიცვალა ჩვენი სოფლის სახე. ამიტომ ჩვენ სხვა მოთხოვნები უნდა წავუყენოთ სოფლად ვაჭრობას.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ზრდა ხელს უწყობს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას. კავშირის სასაქონლო ფორმა ავსებს გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის საწარმოო ფორმას.

სწრაფი ტემპით იზრდება სოფლის ვაჭრობაც. საქონელბრუნვა სოფლად 1953 წელს 1925 წელთან შედარებით 7,9-ჯერ გადიდდა (შესადარ ფასებში) და მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის საქონელბრუნვას.

ჩვენს ქვეყანაში საქონელბრუნვის მნიშვნელოვნად გაშლის დამატებითმა ღონისძიებებმა, რაც წელს ხორციელდება, სერიოზულად გაადიდეს საქონელბრუნვა სოფლადაც. თუ 1953 წლის I კვარტალში სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვა 3,5 პროცენტით გადიდდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ამა წლის უკვე II კვარტალში იგი გადიდდა 28 პროცენტით, ხოლო 1953 წლის III კვარტალში — 27,5 პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ეს იმას მოწმობს, რომ სოფლის ვაჭრობაშიც დაიწყო მკვეთრი აღმავლობა. შეიცვალა სოფლის ვაჭრობის სტრუქტურა. ახლა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა პირადი მოხმარების საგნებზე სულ უფრო უახლოვდება ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნას.

ინტერესს მოკლებული არ არის მოვიყვანოთ ასეთი ცნობები. 1924-25 წელს მარილი, ნავთი, ასანთი, სარეცხი საპონი და ბამბის ქსოვილები შეადგენდა კოოპერაციის მთელი სოფლის საქონელბრუნვის დაახლოებით 35 პროცენტს, ხოლო 1952 წელს ეს საქონელი შეადგენდა სოფლის საქონელბრუნვის მხოლოდ 18 პროცენტს, თუმცა რაოდენობრივად მკვეთრად გადიდდა. თუ ქსოვილების გაყიდვა 1952 წელს მთლიანად სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით 1940 წელთან შედარებით გადიდდა 41 პროცენტით (შესადარ ფასებში), აბრეშუმის ქსოვილებისა გადიდდა 3,1-ჯერ, სოფლად აბრეშუმის ქსოვილებისაგან შეკერილი ტანსაცმლის გაყიდვა უკანასკნელ სამ წელიწადში გადიდდა 5-ჯერ, შალის კოსტიუმების გაყიდვა — 2,6-ჯერ, შალის პალტოებისა — 2,2-ჯერ. 1953 წელს სოფლად გაიყიდება 6-ჯერ მეტი ველოსიპედი, ვიდრე 1940 წელს, 13,6-ჯერ მეტი რადიომიმღები, 6-ჯერ მეტი საკერავი მანქანა, 4,8-ჯერ მეტი ფოტოაპარატი. ეს აიხსნება კოლმეურნე გლეხობისა და სოფლის ინტელიგენციის კეთილდღეობის გაუმჯობესებით.

საბჭოთა

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის მოხსენების დასასრული

ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ სოფლად საშენი მასალების ვაჭრობაში არსებული ნაკლოვანებანი.

სოფლის მეურნეობის ტექნიკურმა რეკონსტრუქციამ უკანასკნელ წლებში გამოიწვია სოფლის ვაჭრობის ახალი დარგების შექმნაც — ეს არის, კერძოდ, საწარმოო დანიშნულების საქონლის ვაჭრობა. 1953 წელს სოფელში გასაყიდად გამოყოფილია სატვირთო ავტომობილები თითქმის იმდენი, რამდენიც გამოყოფილი იყო ხუთ წელიწადში, დაწყებული 1946 წლით 1950 წლამდე ჩათვლით, თუ არ ვიანგარიშებთ იმას, რაც მტს-ებს ეძლეოდათ.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკების ამოცანა ის არის, რომ საწარმოო დანიშნულების საქონლის ვაჭრობა შეუფერხებლად წარმოებდეს.

სამომხმარებლო კოოპერაცია მძლავრი საზოგადოებრივი სავაჭრო ორგანიზაციაა. იგი აერთიანებს 32 მილიონზე მეტ მეპაიეს. მაგრამ ვაჭრობა სოფლად ჩამორჩება სოფლის მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს.

ჯერ-ერთი, სამომხმარებლო კოოპერაცია ვერ უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობას ბევრი ისეთი საქონლით, რასაც მოსახლეობა მოითხოვს. დღემდეც კი არ არის აღმოფხვრილი სამომხმარებლო კოოპერაციისათვის ისეთი სამარცხვინო ფაქტები, როგორიც არის შეფერხება ყოველდღიური საჭიროების საქონლის — ნავთის, ასანთისა და მარილის ვაჭრობაში, რაც კოოპერაციას განუსაზღვრელი რაოდენობით ეძლევა.

მეორე, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები სუსტად სწავლობენ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნას საქონელზე, ხოლო ცალკე შემთხვევაში ანგარიშს არ უწევენ ამ მოთხოვნას.

მესამე, საჭირო ყურადღება არ ექცევა სოფლად სავაჭრო ქსელის გაშლის საკითხს, სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებისა და დუქნების რაოდენობას არ მიუღწევია ომამდელი დონისათვის, რადგან იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღდგენილი სავაჭრო ქსელი. ამ მაღაზიებისა და დუქნების რაოდენობა ომამდელი დონისადმი შეადგენს: უკრაინის სს რესპუბლიკაში — 88,3 პროცენტს, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 80.4 პროცენტს, სმოლენსკის ოლქში — 82 პროცენტს.

ცენტროსოიუზი მოვალეა მიიღოს ღონისძიებანი, რათა უახლოეს 2-3 წლიწადში აღმოიფხვრას ჩამორჩენა სოფლად საცალო ვაჭრობას ქსელის განვითარებაში. სტაციონარული ქსელის დამატებით უნდა მოეწყოს რამდენიმე ათასი დასატარებელი ავტოდუქანი, რომლებიც ზუსტი განრიგით რეგულარულად იელიან მცირე დასახლებული პუნქტების მომსახურებისათვის.

საკოლმეურნეო ვაჭრობა საჭოთა ვაჭრობის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ვაჭრობის ამ ფორმის შემდგომი განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობს. მაგრამ ვაჭრობის მუშაკები ადგილებზე სუსტად ეხმარებიან კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტის გაყიდვის ორგანიზაციაში და ცუდად ხელმძღვანელობენ საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობას.

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო ბაზრების დიდი განშტოებული ქსელია. 1953 წლის 1 იანვრისათვის სსრ კავშირში იყო 8.474 ბაზარი, აქედან 4.100 ბაზარი ქალაქებში და 4.374 ბაზარი სოფლებში. ბაზრებში კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ყოველწლიურად შეაქვთ და ყიდიან დიდძალ სურსათს. მთელ რიგ დიდ ქალაქებში აშენებულმა გადახურული საკოლმეურნეო ბაზრები. ჩვენში ცოტა როდია კარგად მოწყობილი ბაზრები. მიუხედავად ამისა, საკოლმეურნეო ბაზრების მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეიძლება მივიჩნიოთ რამდენადმე დამაკმაყოფილებლად.

ქალაქებში ბაზრების ნახევარს არა აქვს საწყობები და მაცივრები კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მიერ შემოტანილი საქონლის შესანახავად. 1.500-მდე ბაზარს ქალაქებში არა აქვს ხორცის საკონტროლო და რძის საკონტროლო სადგურები. ქალაქების ბაზრებში მოკირწყლული და მოასფალტებულია ბაზრების ფართობების მხოლოდ 36,2 პროცენტი.

შეიძლება მოვიყვანოთ ქალაქების ბაზრების ცუდი მუშაობის ბევრი მაგალითი, ხოლო ბევრი სოფლის ბაზარი უფრო უყურადღებოდ არის მიტოვებული.

რა ამოცანები უნდა გადაიჭრას ამჟამად საკოლმეურნეო ვაჭრობის დარგში იმისათვის, რომ იგი სერიოზულად წაგწიოთ წინ?

საკოლმეურნეო ბაზრებისა და ვაჭრობის ადგილობრივ განყოფილებათა მუშაკებმა უნდა მიიღონ დაუყოვნებლივი ღონისძიებანი, რათა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შეუქმნან ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გაყიდვის ხელსაყრელი პირობები.

თვითეულ რაიონში, ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში უნდა შემუშავდეს და 1954 წელს განხორციელდეს საკოლმეურნეო ბაზრების წესრიგზე მოყვანის ღონისძიებანი; უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა დამთავრდეს ქალაქების ყველა ბაზრის მოკირწყვლა ან მოასფალტება.

ბაზრებში და ბაზრების ახლომახლო ქუჩებში უნდა გაჩაღდეს სამრეწველო საქონლის ვაჭრობა იმ ასორტიმენტით, რაც საჭიროა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, და, პირველ რიგში, საწარმოო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის ვაჭრობა; სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები მოვალენი არიან მოაწყონ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეუფერხებელი მიღება საკომისიოდ.

ცნობილია, რომ იმ პერიოდში, როცა კოლმეურნეები მინდვრად მუშაობენ, მცირდება ბაზრებში პროდუქტების შემოზიდვა. თუ თვით კოლმეურნეების მიერ გაყიდვასთან ერთად კოოპერაცია მოაწყობს კოლმეურნეობათა პროდუქციის გაყიდვას საკომისიო საწყისებზე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების დავალებით, მაშინ ალოობის პერიოდში ბაზრებში პროდუქტების შემოზიდვა ასე აღარ შემცირდება.

კოოპერაციას კი შეუძლია უზრუნველყოს კოლმეურნეებისათვის იმავე ფასების მიღება, რასაც ისინი ბაზარზე იღებენ, შეამციროს კოლმეურნეთა სატრანსპორტო ხარჯები და გაათავისუფლოს მუშახელი მინდვრის სამუშაოთა პერიოდში.

საჭიროა, რომ კოოპერაციამ კოლმეურნეებს საქმით დაუმტკიცოს ვაჭრობის ასეთი ფორმის ხელსაყრელობა.

შემდეგ, ადგილობრივი ალმასკომების, დამამზადებელი ორგანიზაციების, მტს-ების მუშაკები, ვაჭრობის მუშაკები და საკოლმეურნეო ბაზრების მუშაკები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს საკოლმეურნეო ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვაში.

ამ მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას მტს-ების, დამამზადებელი ორგანიზაციების, სამომხმარებლო კოოპერაციის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობისაგან თავისუფალი ტრანსპორტი. პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნას ცარიელი ავტოტრანსპორტის მიმოსვლა.

დიდძალი ტრანსპორტი ქალაქში მიდის საქონლისათვის. საკითხავია, რატომ არ შეიძლება ამ ავტომობილებით ორგანიზებული წესით ქალაქში წავიყვანოთ ბაზარში მიმავალი კოლმეურნეები?

მთავრობამ სათანადო სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს გაუწიონ დახმარება ყველა სახეობის ტრანსპორტით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტის გადატანაში საკოლმეურნეო ბაზრებზე გასაყიდად.

საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ბაზრებში ახალი, ამა წლის 1 ოქტომბრიდან 30 პროცენტით შემცირებული ერთჯერადი საბაზრო გამოსაღებისა და ახალი, 65 პროცენტით შემცირებული განაკვეთების სწორი გადადევნება ბაზრების მიერ გაწეული მომსახურებისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებას.

* * *

ამხანაგებო! ვაჭრობის მუშაკების ჩვენი სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოწვეულია მთავრობის გადაწყვეტილებით, მუშაობს ვაჭრობის განვითარების გადამწყვეტ მომენტში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებანი სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოების შესახებ და ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე დადგენილება საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ წარმოადგენენ სახალხო მოხმარების საქონლით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფის მკვეთრი აღმავლობის გიგანტურ პროგრამას, საბჭოთა ვაჭრობის აყვავების პროგრამას.

ნება მიბოძეთ იმედი გამოვთქვა, რომ საბჭოთა ვაჭრობის მუშაკების არმია, ამ ჩვენთვის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული, იმდენ ძალას, ენერგიასა და უნარს გამოიჩენს, რომ, ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების დახმარებასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით, პირნათლად და ღირსეულად შეასრულებს საბჭოთა ვაჭრობის ყოველი ღონისძიებით გაშლილსა და მისი აყვავების კეთილშობილურ ამოცანას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების არჩევნები და წევრ-კორესპონდენტების დამტკიცება

23 ოქტომბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების არჩევნები და წევრ-კორესპონდენტთა დამტკიცება.

დილის სხდომაზე, სანამ დაიწყებოდა განყოფილებათა მიერ დასახელებულ აკადემიკოსობის კანდიდატთათვის ხმის მიცემა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა დამსწრეთ მოაგონა აკადემიის წესდების ძირითადი დებულებანი და გააცნო არჩევნების ამოცანები. მან გამოაქვეყნა ავრეთვე აკადემიკოსობის 51 კანდიდატის დადგენილი განაწილება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებებს შორის.

შემდეგ გამოვიდნენ საეკსპერტო კომისიების თავმჯდომარეები, რომლებმაც წინასწარ შეიტანეს დასახელებული კანდიდატურები განყოფილებების მიხედვით. კომისიების თავმჯდომარეებმა აკადემიკოსებმა მ. ა. ლავრენტიევმა, მ. მ. დუბინინმა, ა. ა. გრიგორიევმა, ა. ი. ოპარინმა, ს. ა. ხრისტიანოვიჩმა, ვ. პ. ვოლგინმა, გ. თ. ალექსანდროვმა მეცნიერული დახასიათება მისცეს აკადემიაში ასარჩევ მეცნიერებს და დასასახელეს მათი ყველაზე დიდი გამოკვლევები, რომლებმაც გაამდიდრეს მეცნიერების სხვადასხვა დარგი.

ფარული კენჭისყრის შედეგად საერთო კრებამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში აირჩია 51 წევრი. შემდეგ მოხდა განყოფილებათა მიერ არჩეული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 148 წევრ-კორესპონდენტის დამტკიცება.

საღამოს სხდომაზე დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ს. ლ. სობოლევმა გამოაქვეყნა არჩეულ აკადემიკოსთა გვარები.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილებაში არჩეულნი არიან აკადემიკოსები: ა. ს. ალექსანდროვი, ვ. ს. ალექსანდროვი, ვ. ა. ამბარცუმიანი, ნ. ნ. ანდრეევი, ლ. ა. არციმოვიჩი, ნ. ნ. ბოგოლუბოვი, გ. ა. გამბურცევი, ა. ა. დოროფეიცინი, ი. კ. კოკინი, გ. ვ. კურდიუმოვი, ს. ა. ლებედევი, ა. დ. სახაროვი, ი. ე. ტამი, ი. ბ. ხარტონი, ა. ვ. შუბნიკოვი.

ქიმიის მეცნიერებათა განყოფილებაში: ბ. ა. არბუზოვი, ვ. ა. კარგინი, ა. ი. კნუნიანცი, ვ. მ. კონდრატიევი, ი. ნ. ნაზაროვი.

გეოლოგია-გეოგრაფიის მეცნიერებათა განყოფილებაში: ნ. ვ. ბელოვი, ა. ვ. ბეტეხტინი, ა. ბ. ვინოგრადოვი, ი. პ. გერასიმოვი, დ. ს. კორჟინსკი, ნ. მ. სტრახოვი, ნ. ს. შატსკი, დ. ი. შჩერბაკოვი.

ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში: ა. ლ. კურსანოვი, ი. ვ. ტიურინი, ვ. ნ. შაპოშნიკოვი, ვ. ა. ენგელგარდტი.

ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილებაში: ს. ა. ვეკშინსკი, ვ. ი. დიკუშინი, ს. ი. ეუკი, მ. მ. კარნაუხოვი, ვ. ი. კლიმოვი, მ. ბ. კოსტენკო, ვ. ა. კოტელნიკოვი, მ. ა. მიხეევი, ლ. ი. სედოვი, ბ. ს. სტეჩკინი, ნ. ნ. ტუპოლევი, ი. ა. შიმანსკი, ა. ნ. შიუკინი.

ისტორიის მეცნიერებათა განყოფილებაში: ნ. მ. დრუჟინინი, ა. მ. პანკრატოვა, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ნ. ტიხომიროვი.

ეკონომიკის, ფილოსოფიისა და სამართლის მეცნიერებათა განყოფილებაში: კ. ვ. ოსტროვიტიანოვი, პ. თ. იუდინი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად არჩეულნი არიან:

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილებაში: ე. ნ. ბლინოვი, ლ. მ. ბრეხოვსკიხი, ს. ნ. ვერნოვი, ს. ვ. ვონსოვსკი, ი. მ. გელფანდი, ვ. ლ. გინზბურგი, ბ. ს. ჯელეპოვი, ე. კ. ზავოისკი, მ. ს. ზელენეევი, ბ. პ. კონსტანტინოვი, ი. ვ. ლინიკი, ა. ი. მალცევი, ა. ა. მარკოვი, მ. ა. მარკოვი, დ. ე. მენშოვი, ს. ნ. მერგელიანი, მ. გ. მეშჩერიაკოვი, ა. ბ. მიგდალი, მ. დ. მილიონშჩიკოვი, ე. რ. მუსტელი, პ. ს. ნოვიკოვი, ა. მ. ობუხოვი, ბ. პ. პარენაგო, ი. ი. პომერანჩუკი, მ. ა. სადოვსკი, ს. ი. სოკოლოვი, გ. ნ. ფლეროვი, კ. ი. შჩელკინი.

ქიმიის მეცნიერებათა განყოფილებაში: ო. ა. ალეკინი, ი. პ. ალიმარინი, კ. ა. ანდრიანოვი, ი. ი. გერასიმოვი, ნ. მ. ყაკორონკოვი, მ. ი. კაბაჩნიკი, ვ. ვ. კორშაკი, დ. ნ. კურსანოვი, პ. ა. მოშკინი, ბ. პ. ნიკოლაკი, ა. ვ. ნოვოსელოვი, ი ვ. პეტრიანოვ-სოკოლოვი, ნ. კ. პშენიცინი, ა. პ. ტერენტიევი, კ. ვ. ჩმუტოვი, გ. ი. ჩუფაროვი, მ. მ. შემიაკინი, ნ. ი. შუიკინი.

გეოლოგია-გეოგრაფიის მეცნიერებათა განყოფილებაში: ა. ა. ანიარასლანოვი, გ. დ. აფანასიევი, ვ. ვ. ბელოუსოვი, მ. ი. ვარენცოვი, კ. ა. ვლასოვი, ნ. ა. ელისეევი, ლ. ა. ზენკევიჩი, ა. ა. ივანოვი, ს. ვ. კალესნიკი, გ. ნ. კაშენსკი, ო. დ. ლეონტიევი, მ. ფ. მირჩინკი, ს. ვ. ობრუჩევი, ლ. ვ. პუსტოვალოვი, ა. ა. საუკოვი, ა. ვ. სიდორენკო, პ. მ. ტატარინოვი, ი. ა. ტროფიმუკი, კ. რ. ჩეპიკოვი, ფ. ვ. ჩუხროვი, პ. ფ. შვეცოვი.

ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში: გ. ი. ბეი-ბიენკო, ვ. ა. კოვდა, ნ. გ. კოლესნოვი, ა. ნ. კრაშტოფოვიჩი, ვ. ფ. კუპრევიჩი, ე. ნ. მიშუსტინი, გ. ვ. ნიკოლსკი, ნ. ი. ნუჟდინი, ი. ა. ორლოვი, ი. ვ. პუეევ, ვ. ვ. პოპოვი, ა. ნ. სვეტოვიდოვი, ს. ე. სევერინი, ნ. მ. სისაკიანი, ი. ი. ტუმანოვი, გ. კ. ხრუშჩოვი, ვ. ნ. ჩერნიგოვსკი, ი. გ. ეიხფელდი.

ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილებაში: მ. ი. აგოშკოვი, ბ. კ. ალექსანდროვი, ა. ე. ალექსეევი, ნ. რ. ბრილინგი, ვ. ზ. ვლასოვი, ა. ნ. ვოლკი, ლ. ა. გალინი, ვ. პ. გლუშკო, ვ. ა. გოლუბცოვი, ვ. ს. გუტიროა, ნ. დ. დევიატკოვი, ნ. ა. დოლეჟალი, ნ. ლ. დუბოვი, ვ. ს. ემელიანოვი, დ. ვ. ზერნოვი, ვ. ა. კირილინი, ი. ბ. კობზარევი, ნ. ნ. კოვალიოვი, ს. პ. კოროლიოვი, გ. ნ. კრუჟილინი, ა. პ. კრილოვი, კ. პ. ლავროვსკი, ა. ნ. ლარიონოვი, ა. ი. მაკაროვსკი, ნ. ვ. მელნიკოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. რ. ნეიმანი, ი. ი. ნიკოლაევი, ა. პ. პეტროვი, ბ. ნ. პეტროვი, გ. ი. პეტროვი, ვ. ი. პოპკოვი, ი. ნ. რაბოტნოვი, ნ. ნ. რიკალინი, ნ. პ. საკინი, ვ. ი. სიფოროვი, პ. ვ. ტიმოფეევი, ვ. ვ. ტიხომიროვი, ვ. ა. ტრაპეზნიკოვი, ვ. ა. ფლორინი, ლ. ნ. ხიტრინი, კ. კ. ხრენოვი, ა. ი. ცელიკოვი, ა. ვ. შჩეგლაევი.

ისტორიის მეცნიერებათა განყოფილებაში: ა. ა. გუბერი, ი. ი. ზუტისი, ს. ვ. კისელიოვი, მ. ვ. ნეჩკინა, თ. ვ. პოტიომკინი, ბ. ა. რიბაკოვი, ს. პ. ტოლსტოვი, ვ. მ. ხვოსტოვი.

ეკონომიკის, ფილოსოფიისა და სამართლის მეცნიერებათა განყოფილებაში: ვ. ი. დიაჩენკო, მ. დ. კამარი, თ. ვ. კონსტანტინოვი, ვ. ს. კრუჟკოვი, პ. ე. ორლოვსკი, ა. ი. პაშკოვი, დ. ტ. შეპილოვი.

ლიტერატურისა და ენის განყოფილებაში: ნ. ფ. ბელჩიკოვი, დ. დ. ბლაგოი, დ. ს. ლიხაჩევი, ბ. ა. სერებრენიკოვი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით აკადემიკოსი ა. ნ. ნესმეიანოვი მიესალმა აკადემიის ახალ შევსებას და უსურვა მას წარმატებანი მეცნიერების ასპარეზზე.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მეცნიერული მოხსენებანი აკადემიკოს ა. ი. ოპარინისა „სიცოცხლის წარმოშობის პრობლემა თანამედროვე ბუნებისმეტყველების მიღწევათა მიხედვით“ და აკადემიკოს ვ. ა. ამბარცუმიანისა „ვარსკვლავების წარმოშობის პრობლემა საბჭოთა ასტროფიზიკოსების ახალ ნაშრომთა მიხედვით“.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საბოლოო სხდომა გაიმართება 26 ოქტომბერს. (საკდესი).

* * *

26 ოქტომბერს მოსკოვის მეცნიერთა სახლში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების საბოლოო სხდომა. სხდომა მიეძღვნა მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებს: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის არჩევნებს, ინსტიტუტების დირექტორთა დამტკიცებას და სხვ.

აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა განაცხადა, რომ საერთო კრებამ პრეზიდიუმის შემადგენლობაში უნდა აირჩიოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა აკადემიკოსი მდივნები, ხელახლა აირჩიოს პრეზიდიუმის წევრები, რომელთა რწმუნების ვადა წესდების თანახმად უკვე გავიდა, აგრეთვე განიხილოს კანდიდატურები და აირჩიოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში მთელი რიგი მეცნიერები, რომლებიც მეთაურობენ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს.

საერთო კრებას უნდა აერჩია აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იმასთან დაკავშირებით, რომ აკადემიკოსმა ვ. პ. ვოლგინმა, რომელიც დიდხანს წარმატებით მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, სთხოვა საერთო კრებას გათავისუფლებინა იგი ამ მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

დასახელებული კანდიდატურების განხილვის შემდეგ საერთო კრება შეუდგა ფარულ კენჭისყრას.

კენჭისყრის შედეგად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ჩამოყალიბებულია შემდეგი შემადგენლობით: აკადემიკოსები ა. ნ. ნესმეიანოვი (პრეზიდენტი), ი. პ. ბარდინი (ვიცე-პრეზიდენტი), კ. ვ. ოსტროვიტიანოვი (ვიცე-პრეზიდენტი), ა. ვ. ტოპჩიევი (მთავარი სწავლული მდივანი), მ. ვ. კელდიში, მ. მ. დუბინინი, დ. ი. შჩერბაკოვი, ა. ი. ოპარინი, ს. ა. ხრისტიანოვიჩი, მ. ნ. ტიხომიროვი, ვ. ვ. ვინოგრადოვი, გ. თ. ალექსანდროვი, ი. ბ. კურჩატოვი, ტ. დ. ლისენკო, ი. გ. პეტროვსკი, ვ. ს. ნემჩინოვი. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა

საბერძნეთის მთავრობისადმი

26 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ მიიღო საბერძნეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი იპსილანტი და გადასცა მას შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ამა წლის 12 ოქტომბერს საბერძნეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის შესაბამისად, როგორც ეს ჩანს შეთანხმების გამოქვეყნებული ტექსტიდან, შეერთებულ შტატებს უფლება ენიჭებათ განალაგონ საბერძნეთის ტერიტორიაზე თავიანთი შეიარაღებული ძალები, შექმნან სამხედრო ბაზები, აგრეთვე გამოიყენონ საბერძნეთის ტერიტორიაზე რკინიგზები და სხვა გზები ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის გეგმების შესაბამისად.

აღნიშნული შეთანხმების დადება მოწმობს, რომ საბერძნეთის მთავრობამ დაიწყო იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა უშუალო მიზანია ახალი ომის მომზადება, მისცა რა საბერძნეთის ტერიტორია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს ამ მიზნით გამოსაყენებლად. ამით საბერძნეთის ტერიტორია იქცევა უცხოეთის სამხედრო ბაზად, რაც ეწინააღმდეგება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნების ინტერესებს.

საბერძნეთის ტერიტორიაზე მშვიდობიან დროს უცხოეთის შეიარაღებული ძალების განლაგება არ შეიძლება გამართლებულ იქნას თავდაცვის მოსაზრებებით, რადგან კარგად ცნობილია, რომ საბერძნეთს არავინ არ ემუქრება და არავინ არ აპირებს თავს დაესხას მას. ამიტომ არ შეიძლება დაეთანხმოთ საბერძნეთის მთავრობის განცხადებებს იმის შესახებ, თითქოს შეთანხმება საბერძნეთის ტერიტორიაზე უცხოეთის შეიარაღებული ძალების განლაგების შესახებ ემსახურება მშვიდობის საქმეს და საბერძნეთის უშიშროების განმტკიცებას. ამასთან ერთად სავსებით ცხადია, რომ ამრიგად საბერძნეთის ტერიტორია ემსახურება სხვა სახელმწიფოთა აგრესიულ მიზნებს.

საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია საბერძნეთის მთავრობის ყურადღება არ მიაქციოს იმას, რომ საბერძნეთის ტერიტორიის გადაქცევა აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის შეიარაღებული ძალების ბაზად საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ბალკანეთში, და საბერძნეთის მთავრობა ამით უმძიმეს პასუხისმგებლობას კისრულობს ამ ნაბიჯისათვის, რომელიც იწვევს საერთაშორისო ვითარების გამწვავებას“.

ბ-ნმა ფ. იპსილანტიმ განაცხადა, რომ ნოტის ტექსტს აცნობებს საბერძნეთის მთავრობას.

თათბირი პანმინჯონში

პეკინი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, გუშინ პანმინჯონში გაიმართა პოლიტიკური კონფერენციის საკითხებზე თათბირის მონაწილეთა პირველი სხდომა. კორეა-ჩინეთის მხარის წარმომადგენელნი თათბირზე იყვნენ: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კი სუკ ბოკი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ხუან ხუა. მეორე მხარის წარმომადგენელი იყო შეერთებული შტატების წარმომადგენელი არტურ დინი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა კი სუკ ბოკმა, რომელიც გამოვიდა თათბირზე, დაადასტურა კორეისა და ჩინეთის მთავრობების მტკიცე და თანმიმდევრული პოზიცია, რომელიც ითვალისწინებს, რომ ორი მეომარი მხარის გარდა, პოლიტიკურ კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ დაინტერესებულმა ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით აზიის ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა. მან აღნიშნა, რომ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 და 19 ოქტომბრის დეპეშების შესაბამისად, რომლებიც გაგზავნილ იქნა შეერთებული შტატების მთავრობის დეპეშის სპასუხოდ, პოლიტიკური კონფერენციის შესახებ ორი მხარის თათბირის ამოცანა უმთავრესად და უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ განიხილოს და გადაწყვიტოს პოლიტიკურ კონფერენციაში ნეიტრალური სახელმწიფოების მონაწილეობის საკითხი, ხოლო უკვე შემდეგ გადაწყვიტოს ამ კონფერენციის მოწყობის დროისა და ადგილის საკითხი, ისევე როგორც საკითხები, რომლებიც ეხება პროცედურას, ადმინისტრაციულ დეტალებსა და მომზადებას.

საბჭოთა სასპორტო დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). 26 ოქტომბერს ლონდონთან ჩამოვიდა საბჭოთა სასპორტო დელეგაცია, რომელიც ინგლისს ჩამოვიდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მოწვევით მის 90 წლისთავთან დაკავშირებით.

ინგლისში ყოფნის დროს საბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს მთელი რიგი ფეხბურთელთა კლუბები ლონდონში, დაესწრნენ ფეხბურთელების წვრთნას და შეჯიბრებებს, ესაუბრნენ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს.

მიღებაზე, რომელიც ინგლისის ფეხბურთელთა ასოციაციამ გამართა უცხოეთის დელეგაციების პატივსაცემად, სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელმა ტ. სავინმა

საბჭოთა დელეგაციამ ინგლისის ფეხბურთელთა კლუბ „არსენალს“ გადასცა მოწვევა — 1954 წელს თავისი გუნდი გამოგზავნოს საბჭოთა კავშირში საბჭოთა ფეხბურთელებთან შესახვედრად.

ინდოეთის გაზეთი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პაკისტანს შორის საიდუმლო შეთანხმების შესახებ

კარაჩი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ანჯამი“ იმოწმებს ინდური ყოველკვირეულის „ბლიტიკის“ ლონდონელი კორესპონდენტის ცნობას და წერს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება პაკისტანი გადაქცეინონ „პირველხარისხოვან სამხედრო ძალად“ ამ რაიონში. სახელმწიფო მდივნის დალესის მიერ შემუშავებული საიდუმლო შეთანხმების პროექტის მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატები პაკისტანის არმიას მიაწვდიან შეიარაღებას. დალესის ფორმულის თანახმად, პაკისტანი აშკარად არ უნდა შევიდეს „შუა აღმოსავლეთის თავდაცვით ორგანიზაციაში“, მაგრამ ისარგებლებს სრულუფლებიანი წევრის ყველა უფლებით. ხელსაყრელ მომენტში მას შეიყვანენ ამ ორგანიზაციაში.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ „ინდოეთის გარემოცვის“ მიზნით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს თავიანთი სამხედრო ბაზებად გამოიყენონ ინდოეთში არსებული ტერიტორიული სამფლობელოები, რომლებიც პორტუგალიას ეკუთვნიან, და ტრინკომალი. დიუს ნავსადგურს უკვე აქცევენ წყალქვეშა ნავების დიდ ბაზად. კორესპონდენტი დასძენს, რომ ინდოეთი მეტად შეშფოთებულია ამერიკა-პაკისტანის ამ სამხედრო შეთანხმებით.

ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

კაირო, 26 ოქტომბერი. (საკდესი). ეგვიპტური გაზეთები აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც 21 ოქტომბერს ინგლისისა და ეგვიპტის წარმომადგენლების შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა, დიპლომატიური მოლაპარაკების ცენტრი, რომელიც დაკავშირებულია სუეცის არხის ზონიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის შესახებ ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკებასთან, ვაშინგტონს გადადის. ორივე მხარეს ვერ მოასწრო გამოექვეყნებინა განცხადება: „შეუძლებელი აღმოჩნდა შეთანხმების მიღწევაო“, რომ ამერიკის ელჩმა ეგვიპტეში კეფერომ ინახულა ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი ფაუზი. შემდეგ იგი კვლავ ორჯერ შეხვდა მას. როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, ეს შეხვედრები შეეხებოდა ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის საკითხს.

ამავე დროს ვაშინგტონში ეგვიპტის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰუსეინი შეხვდა სახელმწიფო მდივანს დალესსა და მის თანაშემწეს ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ აზიისა და აფრიკის საქმეებში ბიროიუდს. ამერიკის ელჩმა ინგლისში ლონდონში ინახულა იდენი და გადასცა მას დალესის წერილი ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების შესახებ.

გაზეთები ეხებიან ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკ